საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება

UN WOMEN

საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება

თბილისი, საქართველო
ოქტომბერი, 2019 წელი.

Funded by UK Government

UN WOMEN

წინამდებარე გამოცემა მომზადდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC საქართველო) მიერ გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაძლიერება მშვიდობის მშენებლობის პროცესებში და გენდერული თანასწორობის პრინციპების ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორში“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის მიერ.

წინამდებარე გამოცემის შინაარსი არ ასახავს გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ოფიციალურ პოზიციას. პასუხისმგებლობა მასში წარმოდგენილი ინფორმაციისა და მოსაზრებებისთვის სრულად ეკისრება ავტორ(ებ)ს.

დიზაინი: თეონა წამალაშვილი
ფოტოების ავტორი: თაკო რობაქიძე

ფოტო გარეკანზე: ყოველ საღამოს სოფლის ბავშვები ერთად იკრიბებიან სათამაშოდ. სოფელი პერევი. საჩხერის მუნიციპალიტეტი. 2019 წელი.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) 2019 წ.

შინაარსი

შინაარსი 5

გრაფიკების ცხრილი 6

გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის რუკა 7

აბრევიატურები 8

კვლევის შეჯამება 9

შესავალი 17

კონტექსტი 18

- მეთოდოლოგია 23
- მიგნებები 25
- დემოგრაფიული მონაცემები 25
- საჭიროებები 27
- შესაძლებლობები 50
  - დუშეთის მუნიციპალიტეტი 51
  - გორის მუნიციპალიტეტი 52
  - ქარელის მუნიციპალიტეტი 54
  - კასპის მუნიციპალიტეტი 56
  - წალენჯიხის მუნიციპალიტეტი 57
  - ზუგდიდის მუნიციპალიტეტი 59

დასკვნები და რეკომენდაციები 63

ბიბლიოგრაფია 66

გრაფიკების ცხრილი

გრაფიკი 1	სოფლების რაოდენობათა განაწილება საჭიროებების დონის მიხედვით, გეოგრაფიულ ჭრილში	10
გრაფიკი 2	სოფლების კლასიფიკაცია საჭიროებების დონის მიხედვითდ	11
გრაფიკი 3	ინდიკატორების პროცენტული განაწილება გეოგრაფიულ ჭრილში	12
გრაფიკი 4	SWOT-ანალიზის შედეგები ექვსი მუნიციპალიტეტის მასშტაბით	15
გრაფიკი 5	დემოგრაფიული ტენდენციები გამყოფი ხაზების მიმდებარედ	26
გრაფიკი 6	საჭიროებების დონე გამყოფი ხაზის მიმდებარედ	27
გრაფიკი 7	გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების დონე	28
გრაფიკი 8	გამყოფი ხაზების მიმდებარედ არსებული საჭიროებების რუკა	30
გრაფიკი 9	სარწყავი წყლის რესურსები	40
გრაფიკი 10	ირიგაციის რესურსები გამყოფი ხაზების მიხედვით	41
გრაფიკი 11	კონფლიქტის შედეგად დაკარგული რესურსების სახეობები	42
გრაფიკი 12	ბაზრებზე ხელმისაწვდომობა	42
გრაფიკი 13	ბაზრებზე ხელმისაწვდომობა გამყოფი ხაზების მიმდებარედ	43
გრაფიკი 14	ინდიკატორების პროცენტული განაწილება გეოგრაფიულ ჭრილში	47
გრაფიკი 15	დუშეთის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი	52
გრაფიკი 16	გორის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი	53
გრაფიკი 17	ქარელის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი	55
გრაფიკი 18	კასპის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი	57
გრაფიკი 19	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი	58
გრაფიკი 20	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი	60
გრაფიკი 21	გამყოფი ხაზების მიმდებარე მუნიციპალიტეტების SWOT ანალიზი	611
გრაფიკი 22	სოფლების რაოდენობათა განაწილება საჭიროებების დონის მიხედვით, გეოგრაფიულ ჭრილში	63

გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის რუკა



აბრევიატურები

CRRC საქართველო	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველო
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
SWOT	ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები

კვლევის შეჯამება

1990-იან წლებსა და 2008 წელს საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მომხდარმა კონფლიქტებმა საქართველოში ასობით ათასი ადამიანის იძულებით გადაადგილება გამოიწვია. გარდა ამისა, გამყოფი ხაზების[1] მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის წინაშე მუდმივად დგას მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური და უსაფრთხოების პრობლემები. კონფლიქტების შედეგად, გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული პრობელემების ფართო სპექტრს აწყდება. ეს საკითხებია:

- ბაზრები
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები
- შეშის რესურსები
- ბუნებრივი აირი
- საირიგაციო წყალი
- სასმელი წყალი
- მესაქონლეობის საკითხები და საძოვრები
- მიწის არასრულყოფილი რეგისტრაცია
- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა
- კომპენსაცია ქონების დაზიანებისთვის
- განათლებაზე, მათ შორის, სკოლებსა და საბავშვო ბაღებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა
- სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და აფთიაქების ნაკლებობა
- გზების ხარისხი
- გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა
- ადამიანის უსაფრთხოება

მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით ძალისხმევის გასაძლიერებლად და მათ გამოწვევებთან გასამკლავებლად, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (UN Women) კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს საქართველოში (CRRC საქართველო) გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების ყოვლისმომცველი კვლევის ჩატარება დაავალა. კვლევის შეკითხვები მოიცავს შემდეგს:

- მოსახლეობის რომელი ჯგუფები განიცდიან ყველაზე მწვავე საჭიროებებს სოციალურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებში?
- რომელია კონფლიქტით ყველაზე მეტად დაზარალებული მუნიციპალიტეტების ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები?

ამ შეკითხვებზე პასუხების გასაცემად, 2019 წლის სექტემბერში, ორგანიზაციამ შერეული მეთოდების გამოყენებით ჩაატარა კვლევა იმ მოსახლეობაში, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზების მიმდებარედ ცხოვრობს. კვლევამ გამყოფი ხაზების მიმდებარედ ქულათა მინიჭების მეთოდოლოგიით გამოკითხვა და ექვს მუნიციპალიტეტში ფოკუს ჯგუფები მოიცვა. ეს ექვსი მუნიციპალიტეტი შეირჩა იმიტომ, რომ იქ კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს. ქულათა მინიჭების სამუშაოები 112 სოფელში, მათ შორის, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე 30 სოფელსა და აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე 82 სოფელში ჩატარდა. კერძოდ, კვლევა შეიცავდა შეკითხვებს შემდეგ საკითხებზე:

- ინფრასტრუქტურა
- მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა
- ადამიანების უსაფრთხოება
- კონფლიქტების ზეგავლენა

1 მოცემულ კვლევაში გამოყენებულია გამყოფი ხაზები სტანდარტული საერთაშორისო ტერმინოლოგიის გათვალისწინებით, როგორც ეს მოცემულია გაეროს გენერალური მდივნის 2019 წლის ანგარიშში აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ. (2019). A/73/880. დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://undocs.org/en/A/73/880.

კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სამიზნე მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების სიღრმისეული შესწავლა და მოსახლეობის იმ შესაძლებლობების განსაზღვრა, რომლებმაც, შეიძლება, კონფლიქტის შემდგომ რეკონსტრუქციასა და აღდგენას შეუწყონ ხელი. ამდენად, ფოკუს ჯგუფები ჩატარდა დუშეთში, გორში, ქარელში, კასპში, წალენჯიხასა და ზუგდიდში, ანუ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც კონფლიქტის შედეგად უფრო მეტად დაზარალებული მოსახლეობა ცხოვრობს. ფოკუს ჯგუფებს ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზის სახე მიეცა, რომელშიც მოცემულია მონაწილეების მიერ დასახელებული შესაბამისი სოფლების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

კვლევის შედეგად მოხდა მოსახლეობის ჯგუფების კლასიფიკაცია მათი საჭიროებების დონის თანაფარდობის მიხედვით, რაც ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამდა. ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ ყველაზე მაღალი საჭიროებები აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ჯგუფებში გვხვდება. ზოგადად, მოსახლეობის საჭიროებების დონე მაღალი რჩება ბევრ სოფელში. ასევე კვლევით მოცული მოსახლეობის ყველა ჯგუფში მკაფიო საჭიროებები გამოიკვეთა.

გრაფიკი 1:

კვლევის რამდენიმე ინდიკატორი, გავრცელების თანმიმდევრობით

საჭიროების დონე	საკითხების რაოდენობა	სოფლების წილი სულ	აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის წილი	ცხინვალის რეგიონის/ სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის წილი
უმაღლესი საჭიროება (5)	55-65	30%	40%	27%
მაღალი საჭიროება (4)	48-54	24%	20%	26%
საშუალო საჭიროება (3)	40-47	23%	10%	28%
დაბალი საჭიროება (2)	31-39	17%	23%	15%
ყველაზე დაბალი საჭიროება (1)	23-30	5%	7%	5%

გრაფიკი 2:

სოფლების კლასიფიკაცია საჭიროებების დონის მიხედვით:



საოჯახო საჭიროებების საერთო მდგომარეობის კლასიფიკაციასთან ერთად განისაზღვრა კონკრეტული საჭიროებები თითოეული დასახლებისთვის. კვლევის რამდენიმე ინდიკატორი, გავრცელების თანმიმდევრობით, ქვემოთ, ცხრილშია წარმოდგენილი:

გრაფიკი 3:

ინდიკატორების პროცენტული განაწილება გეოგრაფიულ ჭრილში

რიგითობა	საკითხი	სულ %	აფხაზეთთან გამყოფი ხაზი %	ცხინვალის რეგიონთან/ სამხრეთ ოსეთთან გამოყოფი ხაზი %
1	არ არის ვეტერინარული აფთიაქი	98	100	98
2	არ არის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის მაღაზია	96	100	94
3	არ არის სპორტული მოედანი ან მოედანი არაა შესაფერისი	92	80	96
4	არ არის ქალაქის ტელეფონი	91	83	94
5	გზები, ძირითადად, დაგებული არ არის	91	97	89
6	მოსახლეობას არ აქვს აფთიაქი	90	83	93
7	არ არის ბიბლიოთეკა	86	77	89
8	მოსახლეობის უმეტესობას სათანადოდ არ მიუწვდება ხელი შეშაზე	85	77	88
9	არ არის პოლიციის განყოფი-ლება	83	97	78
10	არ არის საირიგაციო წყალი არხიდან	82	100	76
11	საირიგაციო წყალი არ მოედი-ნება საირიგაციო სისტემიდან	82	90	79
12	სანიაღვრე სისტემა არ არსებობს ან არაეფექტიანია	79	88	76
13	არ არის სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემა	76	93	70
14	ზოგიერთი სოფლის მოსახლეო-ბას არ მიუღია სამხედრო მოქმე-დებების შედეგად მიღებული ზიანის ანაზღაურება	76	97	68
15	არ არის საკაბელო ინტერნეტი	71	87	65
16	არ არის საბავშვო ბაღი/ სკოლამდელი განათლების დაწესებულება	70	43	79

17	არ არის წყალმომარაგების სისტემა	67	93	57
18	მიწა სამართლებრივად რეგისტ-რირებული არ არის	66	57	70
19	გზების უმრავლესობაზე განათება არ არის	63	97	50
20	ბევრი შინამეურნეობა საკვების ნაკლებობას განიცდის	61	73	56
21	მოსახლეობას ეთიშება ელექტ-როენერგია	58	57	59
22	არ არის სამედიცინო დაწესებუ-ლებები	57	70	52
23	ადამიანების უმრავლესობას არ ჰყავს მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალება	56	30	66
24	სულ მცირე ერთი სატელეფონო ოპერატორის ხელმისაწვდომო-ბის ნაკლებობა	55	47	59
25	არ არის მიკროავტობუსის გადახურული გაჩერება	54	47	56
26	რადიომაუწყებლობა არ არის ხელმისაწვდომი	51	37	56
27	არ არის სკოლა	50	47	51
28	დაკავებები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში	48	13	61
29	არ არის ქუჩის განათება	41	93	22
30	არ არის სოფლის ექიმი	41	50	38
31	არ არის სოფლის ექთანი	38	43	35
32	არ ხდება ნარჩენების შეგროვება	38	63	29
33	სოფელი არ არის გაზიფიცირე-ბული	36	70	23
34	არარეგულარული მობილური ინტერნეტის დაფარვა	34	23	38
35	პოლიცია არ პატრულირებს	34	40	32
36	არარეგულარული საზოგა-დოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა	32	30	33

37	მოსახლეობა განიცდის სატელეფონო მომსახურების ნაკლებობას	28	7	35
38	არ არის ვეტერინარი	21	43	13
39	რუსული/აფხაზური/ოსური ძალები სოფელში უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში გამოჩნდნენ	13	0	17
40	ქალები შინ მშობიარობენ	4	0	5
41	არ არის სატელევიზიო სიგნალი	4	3	5
42	ელექტროენერგია 24 საათის განმავლობაში არ მიეწოდება	1	0	1

ზემოთ ჩამოთვლილი საჭიროებები დალაგებულია გავრცელების და არა სიმწვავის, ან მნიშვნელობის მიხედვით. გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით გადაწყვეტილებების მიღე-ბისას საჭიროებების ფარდობითი მნიშვნელობა უნდა გავითვალისწინოთ: ცხადია, მოსახლეობის გატაცება უფრო მტკივნეული და სასწრაფოდ გადასაჭრელი პრობლემაა, ვიდრე განათება ძირითად მაგისტრალებზე, იმის მიუხედავად, რომ გატაცების პრობლემა მოსახლეობის უფრო მცირე რაოდენობის ჯგუფებს ეხება, ვიდრე გზებზე არსებული განათება. ამ თვალსაზრისით, მომავალში მოსახლეობის ჯგუფების პრიორიტეტული პრობლემების გამოკვლევაა საჭირო და არა მხოლოდ მათ წინაშე მდგარი საკითხების განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე კვლევა საკითხების შედარებითი პრიორიტეტულობის განსაზღვრის შესაძლებლობას არ გვაძლევს, თვისებრივ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რას ანიჭებს მოსახლეობა მნიშვნელობას. ეს მიიღწევა SWOT ანალიზის საშუალებით, რომელიც გამყოფი ხაზების მიმდებარე ექვს მუნიციპალიტეტში ჩატარდა. კვლევის ფარგლებში ჩატარებული SWOT ანალიზი გვიჩვენებს (იხ. ცხრ. 3), რომ მუნიციპალიტეტები შესაძლებლობებს, უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის განვითარებაში ხედავენ. ამასთან, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რიგი სუსტი მხარეებისა, რომლებიც სოფლის მეურნეობას უკავშირდება, მათ შორის, წყალმომარაგებას. საფრთხეების შესახებ დისკუსიებში, რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეების გარდა, სწორედ სოფლის მეურნეობის საკითხები (აზიური ფაროსანა, მიწის რეგისტრაცია და სხვ.) ჭარბობდა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა მაღალი ალბათობით დაინტერესდება სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ მიმართულ პროგრამებში მონაწილეობით.

გრაფიკი 4:

SWOT-ანალიზის შედეგები ექვსი მუნიციპალიტეტის მასშტაბით

	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები	შესაძლებლობები	საფრთხეები
დუშეთი	მეცხოველეობა; მერძევეობა; ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის და ინტერნეტის ინფრასტრუქტურა	გზების მდგომარეობა სოფლად; სასმელი და საირიგაციო წყლის რესურსების ნაკლებობა; სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა; შეშაზე ხელმისაწვდომობა; სასურსათო მაღაზიების ნაკლებობა	მერძევეობა	დეპოპულაცია; მიწის რეგისტრაციის ფასი; მიწის რეგისტრაციის პროცესი
გორი	მეხილეობა; ადამიანური რესურსები	შეღავათიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდო- მობა; ნარჩენების შეგროვება; შიდა გზების მდგომარეობა; საირიგაციო არხებზე ხელმისაწვდომობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა; ნარგავების დაცვის ღონისძიებების ფასი და ხარისხი	სოფლის მეურნეობა და მემცენარეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები
ქარელი	სოფლის მეურნეობა; ადამიანური რესურსები	გზების მდგომარეობა სოფლად; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა; ქუჩის განათება	სოფლის მეურნეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები
კასპი	წვდომა საქართველოს მთავარ ავტომაგისტრალზე	ბუნებრივი აირი; შიდა გზები; სასმელ და საირიგაციო წყალზე ხელმისაწვდომობა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებზე ხელმისაწვდომობა	სოფლის მეურნეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები

წალენჯიხა	სოფლის მეურნეობა (თხილი, კივი); მესაქონლეობა; მეფუტკრეობა	სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების ნაკლებობა; სოფლის მეურნეობაში ცოდნისა და ნოუ-ჰაუს ნაკლებობა; თხილის ინდუსტრიული საშრობები; აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ქიმიკატები	სოფლის მეურნეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები; აზიური ფაროსანა; სასმელი წყლის ცენტრალიზებული სისტემის არარსებობა
ზუგდიდი	სოფლის მეურნეობა (თხილი, ციტრუსი, კივი); მესაქონლეობა; მეფუტკრეობა; თხილის საშრობ ქარხნებზე ხელმისაწვდომობა	სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების ნაკლებობა; სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა; აფთიაქები; სასმელი წყლის ცენტრალიზებული ქსელის არარსებობა	სოფლის მეურნეობა; სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები; აზიური ფაროსანა; სოკოვანი დაავადებები; მდინარე ენგურის სეზონური ადიდება

მაშინ, როდესაც ზემოთ განხილული მონაცემები და ანალიზი ზოგად ტენდენციებს წარმოგვიდგენს, კვლევის მიხედვით, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის საჭიროებების როგორც დონე, ისე ტიპოლოგია მნიშვნელოვნად განსხვავდება. ზემოთ განხილული მონაცემები, იმ დამატებითი მონაცემებთან ერთად, რომლებიც მოცემული პროექტის ფარგლებში მოსახლეობის ჯგუფებში მოგროვდა, აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზების მიმდებარე 116-დან 112 დასახლებაში მიზნობრივი ინტერვენციების განხორციელების საშუალებას იძლევა. მონაცემების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ:

- ინტერვენციები დაიგეგმოს პროექტის ფარგლებში შედგენილი მოსახლეობის ჯგუფების პროფილების საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი მონაცემების მოსაძიებლად ყოველგვარი ძალისხმევაა გამოყენებული, პროექტის ფარგლებში მოძიებული მონაცემების შეზღუდული რაოდენობის გამო, ცხადია, მათში შეცდომებიც არის. ამდენად, რეკომენდებულია სიფრთხილე და ინტერვენციების განხორციელებამდე:

- პროგრამების ვალიდაციის მიზნით, მათ დაწყებამდე, შესაბამისმა აქტორებმა შეხვედრები მოაწყონ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რათა განსახორციელებელი პროგრამების მოსახლეობის საჭიროებებთან შესაბამისობის წინასწარი შეფასება მოხდეს.

შესავალი

1990-იან წლებსა და 2008 წელს საქართველოს რეგიონებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მომხდარმა კონფლიქტებმა საქართველოში ასობით ათასი ადამიანის იძულებით გადაადგილება გამოიწვია. გარდა ამისა, გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის წინაშე მუდმივად დგას მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური და უსაფრთხოების პრობლემები. მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით ძალისხმევის გასაძლერებლად და მათ გამოწვევებთან გასამკლავებლად, 2019 წლის სექტემბერში, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ CRRC-ს საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების ყოვლისმომცველი კვლევა დაავალა.

კვლევის ძირითადი მიზანია აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებისა და შესაძლებლობების შეფასება. ამრიგად, კვლევის კითხვებია:

- მოსახლეობის რომელი ჯგუფები განიცდიან ყველზე მწვავე საჭიროებებს სოციალურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებში?
- რომელია კონფლიქტით ყველაზე მეტად დაზარალებული მუნიციპალიტეტების ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები?

ამ შეკითხვებზე პასუხების მოსაძიებლად, ორგანიზაციამ შერეული მეთოდების გამოყენებით ჩაატარა კვლევა მოსახლეობაში, რომელიც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთისა გამყოფი ხაზების მიმდებარედ ცხოვრობს. კვლევამ გამყოფი ხაზების მიმდებარედ ექვს მუნიციპალიტეტში ქულათა მინიჭების მეთოდოლოგიით გამოკითხვა და ფოკუს ჯგუფები მოიცვა. ეს ექვსი მუნიციპალიტეტი იმიტომ შეირჩა, რომ იქ კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს. ქულათა მინიჭების სამუშაოები 112 სოფელში ჩატარდა[2], მათ შორის, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე 30 სოფელსა და აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე 82 სოფელში. კერძოდ, იგი შეიცავდა შეკითხვებს შემდეგი საკითხების ირგვლივ:

- ინფრასტრუქტურა
- მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა
- ადამიანის უსაფრთხოება
- კონფლიქტების ზეგავლენა

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა დუშეთში, გორში, ქარელში, კასპში, წალენჯიხასა და ზუგდიდში, SWOT ანალიზის ფორმატში, სადაც მონაწილეებს სთხოვეს გამოევლინათ თუ რას მიიჩნევდნენ მათი სოფლების წინაშე მდგარ ძლიერ მხარეებად, სუსტ მხარეებად, შესაძლებლობებად და საფრთხეებად.

ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის შედეგების მიმოხილვა. ანგარიშის შემდეგ თავში აღწერილია კონტექსტი გამყოფი ხაზების მიმდებარედ არსებული მდგომარეობის შესახებ. მას მოსდევს კვლევის მეთოდოლოგიის განხილვა; შემდეგ კი წარმოდგენილია მიგნებები, თავდაპირველად, გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების, ხოლო შემდგომ იმ ექვს მუნიციპალიტეტში ჩატარებული SWOT ანალიზის შესახებ, სადაც ფოკუს ჯგუფები ჩატარდა. ანგარიშის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია შემაჯამებელი დასკვნები და რეკომენდაციები. წინამდებარე ანგარიშს თან ერთვის ბიბლიოგრაფია.

2 ქულათა მინიჭების სამუშაოები არ ჩატარდა ოთხ სოფელში - ქვედა ქარძმანში, კობში, ზედა წვირმინდში და ქედანში. ქვედა ქარძმანში პოლიციამ ინტერვიუერები არ შეუშვა იმ მოტივით, რომ სოფელი გამყოფი ხაზის მიღმა მდებარეობს. კობში პოლიციამ ინტერვიუერები იმიტომ არ შეუშვა, რომ მათი განცხადებით, სოფელში რუსეთის ძალები იმყოფებოდნენ. ზედა წვირმინდსა და ქედანში კი, ინტერვიუერთა ჯგუფის ინფორმაციით, ამჟამად, არც ერთი შინამეურნეობა არ ცხოვრობს და შესაბამისად, ინტერვიუს ჩატარება არც უცდიათ.

კონტექსტი

1990-იან წლებსა და 2008 წელს საქართველოში მომხდარმა კონფლიქტებმა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის მიერ ეფექტური კონტროლის დამყარება გამოიწვია. მოსახლეობის დაახლოებით 6-7%-ის (მსოფლიო ბანკი 2014) იძულებით გადაადგილების გარდა, ამას აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზების მილიტარიზაცია მოჰყვა. ბოლო წლებში ე.წ. ბორდერიზაციისაკენ[3] და დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გაფართოებისკენ მიმართულმა ძალისხმევამ, განსაკურებით ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება განაპირობა. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაი აღწერის მიხედვით, გამყოფი ხაზის მიმდებარე 116 სოფელში 46 000-მდე ადამიანი ცხოვრობდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში (საქსტატი 2015)[4]. ანგარიშის წინამდებარე თავში წარმოდგენილია მოკლე მიმოხილვა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც არსებული კვლევებისა და ამ საკითხების ირგვლივ პოლიტიკის დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნული მოსახლეობის წინაშე დგას.

საკითხები, რომლებიც გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის წინაშე დგას

1990-იანი წლებისა და 2008 წლის კონფლიქტების შედეგად, გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა უსაფრთხოებისა და ეკონომიკური საკითხების ფართო სპექტრს აწყდება. ეს საკითხები მოიცავს შემდეგს:

- ბაზრები
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები
- შეშის რესურსები
- ბუნებრივი აირი
- საირიგაციო წყალი
- სასმელი წყალი
- მესაქონლეობის საკითხები და საძოვრები
- მიწის არასრულყოფილი რეგისტრაცია
- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა
- კომპენსაცია ქონების დაზიანებისთვის
- განათლებაზე, მათ შორის, სკოლებსა და საბავშვო ბაღებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა
- სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და აფთიაქების ნაკლებობა
- გზების ხარისხი
- გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა
- ადამიანის უსაფრთხოება

ყველა ეს საკითხი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ერთი მხრივ, უსაფრთხოების საკითხები ეკონომიკურ მდგომარეობას აყენებს ზიანს, და ამავდროულად, ადამიანის უსაფრთხოებასაც. ანგარიშის წინამდებარე თავში ამ საკითხების მოკლე მიმოხილვაა წარმოდგენილი. ისინი დაჯგუფებულია შემდეგ ქვეთავებად: ბაზრებზე ხელმისაწვდომობა, სასოფლოსამეურნეო საკითხები, გათბობა, განათლებაზე ხელმისაწვდომობა, ადამიანის უსაფრთხოება და

3 ე.წ. ბორდერიზაცია - გულისხმობს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზების გასწვრივ მავთულხლართების გავლებას.

4 მონაცემები ეყრდნობა ავტორისეულ გამოთვლებს, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით.

სამართლებრივ უფლებებზე ხელმისაწვდომობა. წინამდებარე თავში აღწერილი კონტექსტი ამომწურავი არ არის. მისი მიზანი მნიშვნელოვანი საკითხების ზოგადი პერსპექტივიდან წარმოჩენაა. ამდენად, მკითხველს ვურჩევთ, განხილული საკითხების შესახებ სიღრმისეული ინფორმაციისთვის, მითითებულ წყაროებს გაეცნოს.

ბაზრებზე ხელმისაწვდომობა

გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი წარსულში იმ მოსახლეობასთან აწარმოებდა სავაჭრო ურთიერთობებს, რომელიც ამჟამად, საქართველოს მთავრობის კონტროლს მიღმაა დარჩენილი. ამ გარემოების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ერგნეთის ბაზარზე ხელმიუწვდომლობა. ბაზარი 2004 წელს, უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის მცდელობისას დაიხურა (Civil.ge 2004). მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა, ზოგადად, ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ ეს ბაზარი კონტრაბანდისა და გადასახადებისგან თავის არიდების წყარო იყო, იგი, ასევე, ემსახურებოდა ხალხთაშორის ურთიერთობების გაღრმავების მიზნებს და რეგიონში ვაჭრობისთვის მნიშვნელოვანი ადგილი იყო. იგი გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მიერ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის დაკარგვის ყველაზე თვალსაჩინო, თუმცა, არა ერთადერთი მაგალითია. ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ცხინვალის ბაზარიც.

ფოტო 1: კვირაში ერთხელ, ოჯახები ეზოში მოყვანილ მანდარინს სხვა საკვებ პროდუქტზე ცვლიან. ფაროსანას შემოსევის შედეგად სოფელში თხილი თითქმის აღარ მოდის, მოსახლეობის დიდ ნაწილს შემოსავლის წყარო შეუწყდა. ისინი ვერც ანაკლიაში პოულობენ სამსახურს. სოფელში მთავარი პრობლემა უმუშევრობაა. სოფელი განმუხური, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი. 2019.

ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის მსგავსად, კონფლიქტებმა, ბაზრებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობაც დააზარალა. აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის გადაადგილების თავისუფლების მიმართულებით არსებული შეზღუდვები საქონლის მოძრაობას აფერხებს გამყოფი ხაზის გასწვრივ, განსაკუთრებით, გალისა და ზუგდიდის ბაზრებს შორის, სადაც, როგორც წესი, საქონელი უფრო იაფია, ვიდრე აფხაზეთში (საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი 2018).

ისევე, როგორც ბაზრებზე პირდაპირი ხელმისაწვდომობის დაკარგვა, ბაზრების დაბალ ხელმისაწვდომობას ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის სხვა რიგი საკითხებიც იწვევს. გზების დაბალი ხარისხი საერთო პრობლემას წარმოადგენს საქართველოში და ხელს უშლის ბაზრებზე ხელმისაწვდომობას. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობაც არ არის გამონაკლისი ამ კუთხით, რადგან გზების ხარისხი ხშირად იქაც დაბალია და საქონლის ბაზრამდე ტრანსპორტირება გამოწვევას წარმოადგენს (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2018).

სასოფლო-სამეურნეო საკითხები

მაშინ, როდესაც ბაზრებზე ხელმისაწვდომობა არსებითია საქონლის წარმოებისა და რეალიზაციისთვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩართვის შესაძლებლობები (გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების ძირითადი სფერო) გამყოფი ხაზების გასწვრივ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაკარგვით მნიშვნელოვნად იზღუდება. ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე მრავალ სოფელში მავთულხლართები ცალკეული პირების მიწებზე გადის. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, მიწები სრულადაა შემოღობილი მავთულხლართებით და მოქცეულია გამყოფი ხაზის მეორე მხარეს. შედეგად კი, ადამიანებმა თავიანთი მიწების დამუშავების შესაძლებლობა დაკარგეს.

საირიგაციო წყალზე ხელმისაწვდომობა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრუქტურული ბარიერია (სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი 2017). კონფლიქტის შედეგად, საირიგაციო წყლის რესურსებზე წვდომა ცხინვალის რეგიონთან სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას შეუწყდა (თავაქარაშვილი 2016, სახალხო დამცველის აპარატი 2016, სახალხო დამცველის აპარატი 2018, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2018, პატარაია და ვუდი 2011). იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობა გამყოფი ხაზების მიმდებარედ დასაქმების ძირითადი სფეროა, ეს პრობლემა ეკონომიკური განვითარების მთავარ ბარიერს წარმოადგენს. ამასთან, ეს არის მოსახლეობისთვის კვების უსაფრთხოების საკითხიც, ვინაიდან საქართველოში სოფლის მეურნეობის დიდი ნაწილი საარსებო საშუალებას წარმოადგენს. ხშირად, საქართველოში სასმელი და საირიგაციო წყალი ერთი და იგივე წყლის სისტემიდან მოდის და ეს ზოგიერთ შემთხვევაში გამყოფი ხაზების მიმდებარე ტერიტორიებზეც ვრცელდება. შესაბამისად, საირიგაციო წყალზე ხელმისაწვდომობის დაკარგვა ხშირად სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის დაკარგვასაც იწვევს (თავაქარაშვილი 2016, სახალხო დამცველის აპარატი 2016, სახალხო დამცველის აპარატი 2018, ცაგარეიშვილი 2019, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2018).

ზოგადად, საქართველოში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საძოვრები (Raaflaub and Dobry 2015), რომელზეც ხელმისაწვდომობის ნაკლებობა საძოვრების გაფართოების სტრუქტურულ ბარიერს ქმნის ქვეყანაში. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც, ხშირად, მესაქონლეობას ეწეოდა, საძოვრებზე ხელმისაწვდომობის დაკარგვის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩავარდა. გარდა ამისა, საქონელი ხშირად კვეთს ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზს, ფერმერებს კი გამყოფი ხაზის გადაკვეთის უფლება არ აქვთ. შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობა საქონელს კარგავს, რაც საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან დანაკარგს წარმოადგენს (ცაგარეიშვილი 2019წ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2018წ, პატარაია და ვუდი 2011წ).

გათბობა

რიგი ანგარიშებისა და პოლიტიკის დოკუმენტებისა ხაზს უსვამს იმას, რომ გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას გათბობასთან დაკავშირებული გამოწვევები აქვს. საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი საცხოვრებელს შეშის ღუმლებით ათბობს და საკვებს ამზადებს (Winrock Georgia 2008). ამ თვალსაზრისით გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობაც არ არის გამონაკლისი. ის ტერიტორიები, რომლებზეც ტრადიციულად შეშა გროვდებოდა, ე.წ. ბორდერიზაციის გამო ხელმისაწვდომი აღარ არის (ევროპის საბჭო 2018) და აღარც შეშის შეგროვებაა უსაფრთხო დე ფაქტო ხელისუფლების მიერ პირების უკანონო დაკავების საშიშროების გამო (ევროპის საბჭო 2018). შეშაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობის გარდა, გამყოფი ხაზების მიმდებარე მრავალ სოფელს (ისევე, როგორც სოფლად მცხოვრებ სხვა მოსახლეობას) ბუნებრივ გაზმომარაგებაზეც არ მიუწვდება ხელი.

განათლებაზე ხელმისაწვდომობა

საქართველოში სოფლად განათლებაზე ხელმისაწვდომობა ხშირად პრობლემურია. ამ თვალსაზრისით, არც გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობაა გამონაკლისი (ცაგარეიშვილი 2019). საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლებობა იმას გულისხმობს, რომ ახალგაზრდებს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა უწევთ იქ, სადაც განათლების მიღების შესაძლებლობა არსებობს (ცაგარეიშვილი, 2019). ეს კი დამატებითი ტვირთია ბავშვებისთვის განათლების მისაღებად.

ადამიანის უსაფრთხოება

უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა მუდმივად აწყდება გამოწვევებს ადამიანის უსაფრთხოების კუთხით. ორივე გამყოფი ხაზის მიმდებარედ ადამიანების გატაცება რეგულარულად ხდება. ასევე, აფხაზური, ოსური და რუსული ძალები, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონთან/ სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, რეგულარულად აღმართავენ მავთულხლართებს და სხვა ხელოვნურ ბარიერებს.

სამართლებრივ უფლებებზე ხელმისაწვდომობა

მოსახლეობაში რეგულარული ადამიანის უფლებების დარღვევებთან ერთად (მათ შორის, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, გატაცება და ქონების ჩამორთმევა მიწებზე ხელმიუწვდომლობის გამო) არსებობს რამდენიმე უფლებრივი საკითხი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას ეხება. პირველი, ბევრ პირს არ აქვს მიწის სამართლებრივი რეგისტრაცია (თავაქარაშვილი 2016, სახალხო დამცველის აპარატი 2016); მეორე, ბევრ შინამეურნეობას არ მიუღია შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სახალხო დამცველის აპარატი 2017, 2018, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 2018).

ფოტო 2: საბა, 7 წლის. ის ერთადერთი მოსწავლეა სოფელში. სკოლის ავტობუსი სოფელში არ ამოდის. სკოლამდე ჩასასვლელად საბა თითქმის ყოველდღე ველოსიპედით რამდენიმე კილომეტრს გადის. მშობლები მზად არიან თვითონ გადაიხადონ ბენზინის საფასური, ოღონდ ბავშვმა ავტობუსით იაროს ზარდიაანთკარიდან სოფელ მერეთში და უკან. სოფელი ზარდიაანთკარი, გორის მუნიციპალიტეტი. 2019 წელი.

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდების მიდგომა იმ საჭიროებებისა და შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით, რომლებიც აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზების მიმდებარედ არსებობს. ამასთან, ანალიზისას გამოყენებულია ქულათა მინიჭების მეთოდოლოგია ფოკუს ჯგუფებთან ერთად. ანგარიშის წინამდებარე თავში კვლევის მეთოდოლოგია დაწვრილებით არის განხილული.

ქულათა მინიჭების მეთოდოლოგია

ქულათა მინიჭების მეთოდოლოგია გავრცელებული მიდგომაა საჭიროებების შეფასებისას და ინტერვენციისთვის როგორც საკითხების, ისე სამიზნე ადგილმდებარეობების განსაზღვრისას. წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის, ქულათა მინიჭების სამუშაოები აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზების მიმდებარე ყველა იმ დასახლებაში ჩატარდა, რომელიც საველე სამუშაოების განხორციელების მომენტისთვის ხელმისაწვდომი იყო. ინტერვიუერებმა სოფლებში ის რესპონდენტები შეარჩიეს, ვინც სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი დასახლებული პუნქტის შესახებ (მაგალითად, მასწავლებლები, სკოლის დირექტორები, ექიმები და სხვ.). ამგვარი რესპონდენტების შერჩევის შემდეგ, ინტერვიუერებმა შერჩეულ პირებთან ჯგუფური ინტერვიუ ჩაატარეს. ძირითად შემთხვევებში, ჯგუფურ ინტერვიუში ოთხი პირი მონაწილეობდა.

ჯგუფური ინტერვიუს დროს, რესპონდენტებს სთხოვეს, მიეწოდებინათ ინფორმაცია, კონკრეტული საკითხების თვალსაზრისით, მათ სოფელში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხების ჩამონათვალი მოიცავდა შემდეგს:

- სასმელი წყალი
- საირიგაციო წყალი
- კანალიზაცია
- სანიაღვრე სისტემა
- ელექტროენერგია
- ქუჩის განათება
- გათბობა და საკვების მომზადება
- ბუნებრივი აირი
- შეშა
- ავტომობილები და საწვავი
- გზები
- სატელეფონო მომსახურება
- ინტერნეტი
- საზოგადოებრივი ტრანსპორტი
- სამედიცინო დაწესებულებები, აფთიაქები
- მენტალური ჯანმრთელობის მომსახურებები
- ნარჩენების მართვა
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- ვეტერინარული და სასოფლო-სამეურნეო მომსახურება
- ბაზრებზე ხელმისაწვდომობა
- კულტურული დაწესებულებები და გართობა
- სპორტული დაწესებულებები
- სივრცეები შეხვედრებისთვის
- მიწაზე ხელმისაწვდომობა
- სამართლებრივი უფლებები და კონტროლი აქტივებზე
- ფინანსურ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა
- კვების უსაფრთხოება
- უსაფრთხოება

მონაცემთა შეგროვების შემდეგ, CRRC საქართველომ ეს მონაცემები გააანალიზა აღწერილობითი სტატისტიკის მეშვეობით, მათ შორის, სიხშირეებისა და ჯვარედინი ტაბულა-ციების გამოყენებით. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა ორი კონკრეტული მიზნით:

- საჭიროებების შედარებითი სიმწვავის განსაზღვრა მომსახურეობის მიწოდების მიზნობრივი სტრატეგიის შესამუშავებლად;

- კონკრეტული დასახლებების საჭიროებების განსაზღვრა მიზნობრივი ინტერვენციების შესამუშავებლად.

პირველი მიზნის მისაღწევად ორგანიზაციამ საჭიროებების ინდექსი შეიმუშავა. ამისათვის თითოეულ დასახლებას ერთი ქულა მიენიჭა თითოეული საჭიროებისთვის კვლევით განსაზღვრული 86 შესაძლო ვარიანტიდან. მაგალითად, საჭიროებების ინდექსს ერთი ქულა ემატებოდა, თუკი სოფელის მოსახლეობის უმეტესობას არ ჰქონდა ცენტრალურ წყალკანალთან მიერთებული ონკანის წყალი, არ იყო გაზიფიცირებული და ა.შ. მიღებული ინდექსის ხუთ ჯგუფად კლასიფიკაციის მიზნით, ჯენქსის ბუნებრივი ოპტიმიზაციის ალგორითმი (Jenks Natural Breaks algorithm) იქნა გამოყენებული. მონაცემებში შემდეგი ჯგუფები გამოიყო:

- უმაღლესი საჭიროება
- მაღალი საჭიროება
- საშუალო საჭიროება
- დაბალი საჭიროება
- ყველაზე დაბალი საჭიროება

ჯენქსის ბუნებრივი ოპტიმიზაციის ალგორითმი იმიტომ იქნა გამოყენებული, რომ იგი ინდექსების მიხედვით ჯგუფების ზუსტი ფარგლების განსაზღვრის საშუალებას იძლევა[5]. ქვემოთ წარმოდგენილია დასახლებები საჭიროებების დონის კლებითი რიგით. რეიტინგის მინიჭებასთან ერთად, რომელიც გულისხმობს ზოგად მდგომარეობას, ან საჭიროებების დაჯგუფებას, მონაცემები, აგრეთვე, წარმოდგენილია ინდექსის აბსოლუტური ქულის მიხედვით, რაც საჭიროებებისთვის რიგითობის მინიჭების საშუალებას იძლევა. რიგითი ნომერი, რეიტინგის საპირისპიროდ, თითოეულ ინდექსზე საჭიროებების ჩამონათვალს გვაძლევს უმაღლესიდან უდაბლეს ქულამდე.

რა თქმა უნდა, წინამდებარე კვლევას გააჩნია თავისი შეზღუდვები. პირველ რიგში, მონაცემები არ შეგროვებულა შემთხვევითი წესით შერჩეული რესპონდენტების გამოკითხვით, რაც ცდომილების ზღვარის გამოთვლის საშუალებას არ გვაძლევს. ორგანიზაცია ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა რესპონდენტებთან მათი დასახლებული პუნქტების საჭიროების შესახებ ჯგუფურ ინტერვიუს. კითხვები შეძლებისდაგვარად ადვილად გასაგები იყო, რათა რესპონდენტებს სწორი ინფორმაცია მარტივად მოეწოდებინათ. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამ პროცესში გარკვეული შეცდომები მაინც იქნება. აქედან გამომდინარე, მოგროვილი ინფორმაციის ინტერპრეტირებისას აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა, ხოლო გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა სამიზნე დასახლებულ პუნქტებში მოტანილი ინფორმაციის მიხედვით მოქმედებამდე, უნდა გამართონ საზოგადოებასთან შეხვედრები.

მოსახლეობის ზოგადი საჭიროებების კვლევის გარდა, წინამდებარე ანგარიში, აგრეთვე, სხვადასხვა საჭიროებების გავრცელებას აღწერს და მიმოიხილავს, თუ რომელი გამოწვევაა უფრო გავრცელებული ცალ-ცალკე აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზების გასწვრივ.

თვისებრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი

კვლევის ფარგლებში, CRRC საქართველომ ექვსი ფოკუს ჯგუფ დისკუსია ჩაატარა. ფოკუს ჯგუფები SWOT ანალიზის ფორმით გაიმართა. SWOT ანალიზმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ როგორ შეიძლება, გამყოფი ხაზების მიმდებარე დასახლებების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. ჯამში 47-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ფოკუს ჯგუფებში, აქედან ყველა ქალი იყო. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ანალიზი ადგილობრივ გარემოებებს მორგებულიყო, თითო ფოკუს ჯგუფი ჩატარდა შემდეგ მუნიციპალიტეტებში:

- დუშეთი
- გორი
- კასპი
- ქარელი
- წალენჯიხა
- ზუგდიდი

5 ალგორითმის დაწვრილებითი აღწერისთვის, იხ. George F. Jenks, “The Data Model Concept in Statistical Mapping”, International Yearbook of Cartography, vol. 7 (1967), pp. 186–190.

მიგნებები

ანგარიშის წინამდებარე თავში კვლევის მიგნებებია წარმოდგენილი. თავდაპირველად, განხილულია, თუ როგორ შეიცვალა გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები წლების განმავლობაში. შემდეგ მიმოხილულია დასახლების საჭიროებები, საჭიროებების ზოგადი სურათიდან დაწყებული იმ სხვადასხვა გამოწვევებით დასრულებული, რომლებიც მოსახლეობის წინაშე დგას. წინამდებარე თავის მეორე ნაწილი საჭიროებებიდან შესაძლებლობებზე გადადის და თითოეულ სამიზნე მუნიციპალიტეტში ჩატარებული SWOT ანალიზის შედეგებს აღწერს.

დემოგრაფიული მონაცემები

გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა 2002 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა[6]. მაშინ, როდესაც 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობა 69,724 ადამიანს შეადგენდა, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, მოსახლეობის რაოდენობამ 46,620 შეადგინა, რაც 33%-ით ნაკლებია. თუ მონაცემებს სქესის ნიშნით დავყოფთ, დავინახავთ, რომ მამრობითი და მდედრობითი სქესის მოსახლეობა თითქმის თანაბარი წილით შემცირდა (30% და 34% შესაბამისად). მოსახლეობის კლების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უფრო მაღალია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ - (47%), ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებთან შედარებით - (23%). მონაცემების სქესის ნიშნით დაყოფისას, კლების მკვეთრი ტენდენციები არ გამოკვეთილა. როდესაც კლების მაჩვენებლები მთლიანი მოსახლეობის აღწერის ფონზე განვიხილეთ, მოსახლეობის კლების ტენდენცია მკვეთრად გამოიკვეთა. საქართველოს მოსახლეობა, 2002 და 2014 წლების მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში, 15%-ით შემცირდა. კლების მაჩვენებელი ორჯერ უფრო მაღალია გამყოფი ხაზების მიმდებარედ, რაც კონფლიქტის შემდგომ წარმოქმნილი სირთულეების გამო მიგრაციაზე მიანიშნებს.

6 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები გამყოფი ხაზის მიმდებარე მოსახლეობის შესახებ სანდო არ არის და ამდენად, წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებია გამოყენებული.

გრაფიკი 5:

დემოგრაფიული ტენდენციები გამყოფი ხაზების მიმდებარედ

ინდიკატორი	ჯგუფი	2002	2014	აბსოლუტური ცვლილება	კლების მაჩვენებელი
მოსახლეობა	ცხინვალის რეგიონის/სამ-ხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზი	40,049	31,017	-9,032	-23%
	აფხაზეთის გამყოფი ხაზი	29,675	15,603	-14,072	-47%
	ორივე გამყოფი ხაზი	69,724	46,620	-23,104	-33%
მდედრობითი სქესის მოსახლეობა	ცხინვალის რეგიონის/სამ-ხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზი	19,734	15,480	-4,254	-22%
	აფხაზეთის გამყოფი ხაზი	15,674	7,975	-7,699	-49%
	ორივე გამყოფი ხაზი	35,408	23,455	-11,953	-34%
მამრობითი სქესის მოსახლეობა	ცხინვალის რეგიონის/სამ-ხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზი	19,294	15,537	-3,757	-19%
	აფხაზეთის გამყოფი ხაზი	14,001	7,628	-6,373	-46%
	ორივე გამყოფი ხაზი	33,295	23,165	-10,130	-30%

საჭიროებები

იმის განსასაზღვრად, თუ ყველაზე მწვავედ რომელი დასახლებები განიცდიან მხარდაჭერის საჭიროებას გამყოფი ხაზების მიმდებარედ, შემუშავდა 86 ინდიკატორიანი ინდექსი, რომლის მიხედვით დასახლებები საჭიროებების დონის, მდგომარეობის შესაბამისად დაჯგუფდა. ინდექსის ქულები იმ გამოწვევების რაოდენობას დაეყრდნო, რომელთა არსებობაც ქულათა მინიჭების საშუალებით დადგინდა. ინდექსის მიხედვით დასახლებებისთვის მინიჭებული ნედლი ქულები 23-დან 65-მდე მერყეობდა. ინდექსის საშუალო ქულამ 48 შეადგინა. შემდეგ, დასახლებები მათი საჭიროებების დონის მიხედვით დაჯგუფდა ჯენკსის ალგორითმის გამოყენებით. ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს ინდექსში საჭიროებების სხვადასხვა დონისთვის ზღვრული ქულების რაოდენობას, თითოეულ კატეგორიაში დასახლებების მთლიან წილსა და თითოეული გამყოფი ხაზის წილს თითოეულ კატეგორიაში:

გრაფიკი 6:

საჭიროებების დონე გამყოფი ხაზის მიმდებარედ

საჭიროების დონე	გამოწვევების რაოდენობა	სოფლების წილი სულ	აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის წილი	ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის წილი
უმაღლესი საჭიროება (5)	55-65	30%	40%	27%
მაღალი საჭიროება (4)	48-54	24%	20%	26%
საშუალო საჭიროება (3)	40-47	23%	10%	28%
დაბალი საჭიროება (2)	31-39	17%	23%	15%
ყველაზე დაბალი საჭიროება (1)	23-30	5%	7%	5%

ზემოთ მოცემული მონაცემთა ანალიზის შედეგების საფუძველზე შედგა მოსახლეობის კლასიფიკაცია შემდეგი საჭიროებების დონის, მდგომარეობის მიხედვით.

გრაფიკი 7:

გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების დონე

დასახლება	საჭიროების დონე	ნედლი ქულა
ციგრიაანთკარი	5	65
ქარქუშაანი	5	64
ძველი ბურღული	5	64
გაღმა ხაიში	5	64
გომი	5	63
ქვიტკირისწყარო	5	63
ახალი ბურღული	5	62
ტობარი	5	61
ტონჩა	5	61
გულიკაანთუბანი	5	61
ზემო კოდისწყარო	5	60
ჭვრინისი	5	60
გუგუთიაანთკარი	5	59
ლებურცხილა	5	59
ბარჯაში	5	59
ქვემო კოდისწყარო	5	59
სხანარი	5	58
ჩორჩანა	5	58
ლახამი	5	58
საკორინთლო	5	58
პეტრიანი	5	58
ლუხი	5	58
ქედელობა	5	58
ჭურნალი	5	58
ნაშიხვი	5	58
იდლიანი	5	57
ჯორკვალი	5	57
ქვედი	5	57
ეწერფერდი	5	57
სკორმეთი	5	57
ბაქაქურები	5	56
ნაშამგუ	5	56
ზარდიაანთკარი	5	55
წედისი	5	55
ახალშენა	4	54
კოშკა	4	54
აბანო	4	54
გორაკა	4	53
ჭალე	4	53
ზემო შუახევი	4	53
ფლავისმანი	4	53
წყოუში	4	53
კარი	4	52
ყარაფილა	4	52
სარიბარი	4	52
კირბალი	4	51
სგურიში	4	51
ზადიანთკარი	4	51
ბერშუეთი	4	51
პანტიანი	4	51
ღოღეთი	4	50
ჯრია	4	50
ციცაგიანთკარი	4	49
ფლავი	4	49

წაღვლი	4	49
ატოცი	4	49
ქვემო შუახევი	4	48
ლეწფერი	4	48
კოდა	4	48
ბოჟამი	4	48
ხურჩა	4	48
საციხური	3	47
კნოლევი	3	47
ხურვალეთი	3	47
დევრა	3	47
ქერე	3	46
ვაკე	3	46
ჭაშა	3	46
ქალაღალი	3	46
ავლევი	3	46
ჯარიაშენი	3	46
კოდისწყარო	3	45
ირი	3	45
პალური	3	45
ილტოზა	3	45
ზემო ხვითი	3	44
ხვითი	3	44
ერგნეთი	3	44
გლოლა	3	44
ტახტიძირი	3	44
მიქელიანი	3	43
ღარი	3	43
პერევი	3	42
თვაურები	3	42
აძვი	3	42

ზემო ნიქოზი	3	40
წითელუბანი	3	40
ახალი აბასთუმანი	2	39
კოკი	2	39
დვანი	2	39
ქორდი	2	38
არბო	2	38
ბრეძა	2	37
ცერონისი	2	36
ქვემო ნიქოზი	2	36
ახალუბანი	2	36
კარბი	2	36
თამარაშენი	2	35
ქვემო ხვითი	2	35
განმუხური	2	35
ტყაია	2	34
ოძისი	2	33
შამგონა	2	33
რიყე	2	31
ოლორი	2	31
ქვეში	2	31
დიცი	1	30
დირბი	1	29
რუხი	1	28
მერეთი	1	25
ორსანტია	1	25
მეჯვრისხევი	1	23

ზემოთ მოცემული შედეგები, ასევე, ასახულია რუკაზე:

გრაფიკი 8:

გამყოფი ხაზების მიმდებარედ არსებული საჭიროებების რუკა



უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ყველაზე დაბალი ქულების მქონე ჯგუფების წინაშეც კი მნიშვნელოვანი პრობლემები დგას. თუ დასახლებას კვლევით მოცული გამოწვევებიდან არ ჰქონდა არც ერთი პრობლემა წამოჭრილი, 0 ქულა მიენიჭა. ქულების ყველაზე დაბალმა რაოდენობამ 23 შეადგინა.

სასმელი წყალი

ქულათა მინიჭების სამუშაოებით ინფორმაცია მოგროვდა იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა შინამეურნეობებს წყალგაყვანილობა, სასმელი იყო თუ არა ეს წყალი და რა იყო სოფელში სასმელი წყლის ძირითადი წყარო. სასმელი წყლის ძირითადი წყარო აღმოჩნდა წყაროს წყალი (45%), შემდეგ - წყალგაყვანილობა (33%) და ჭის წყალი (29%). სულ, გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები სოფლების 33%-ს აქვს წყალგაყვანილობა, აქედან 73%-ს აქვს სასმელი წყალგაყვანილობა.

ზოგადად, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ სასმელ წყალგაყვანილობაზე ხელმისაწვდომობა უფრო მაღალია. ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები სოფლების 43%-ს აქვს წყალგაყვანილობა, ხოლო

აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ კი - 7%-ს. წყალგაყვანილობის მქონე სოფლებს შორის, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ სასმელი წყალგაყვანილობა ყველა სოფელს აქვს, ხოლო ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ - 71%-ს.

კანალიზაცია

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს საპირფარეშოს გამოყენების პრაქტიკებისა და ნარჩენების გატანის შესახებაც ჰკითხეს. რაც შეეხება საპირფარეშოების გამოყენებას, გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები სოფლების უმრავლესობა გარე საპირფარეშოს იყენებს (98%). დასახლებების 2%, სადაც უნიტაზებს იყენებენ, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მდებარეობს. ზოგადად, ეს ტენდენცია საქართველოს სოფლებში არსებული მდგომარეობის მსგავსია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხი საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემას წარმოადგენს.

სანიაღვრე სისტემა

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ჰკითხეს, იყო თუ არა დასახლებებში სანიაღვრე სისტემა და თუ იყო, რამდენად ეფექტიანი იყო იგი ძლიერი წვიმის დროს ქუჩების/ეზოების დატბორვის პრევენციის თვალსაზრისით. ხოლო თუ სოფელში სანიაღვრე სისტემა არ არსებობდა, ჰკითხეს, სჭირდებოდათ თუ არა ასეთი სისტემა. მიღებული მონაცემების მიხედვით, გამყოფი ხაზების მიმდებარედ, სოფლების 18%-ს სანიაღვრე სისტემა ჰქონდა. აქედან, 75% ეფექტიანად ახდენს ქუჩებისა და ეზოების დაზიანების პრევენციას ძლიერი წვიმის დროს. იმ სოფლებში კი, სადაც სანიაღვრე სისტემა არ ჰქონდათ, 96%-მა განაცხადა, რომ სანიაღვრე სისტემა სჭირდებათ. სანიაღვრე სისტემის საჭიროების დონე ადმინისტრაციულ გამყოფი ხაზებს შორის არ განსხვავდებოდა.

ფოტო 3: ციცინო ელიკაშვილი თავის დამწვარ სახლში. მისი თქმით, სოფელში ხუთი ან ექვსი სახლი სრულიად დამწვარია, ხოლო დანარჩენი იმდენად დაზიანებულია, რომ საცხოვრებლად თითქმის გამოუსადეგარია. ომის შემდეგ სოფელში 30-მდე მოსახლე დაბრუნდა. ყველას სახლის სახურავი შესაკეთებელია. ადგილობრივების ძირითადი შემოსავალი სოფლის მეურნეობაა. მიწების ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზეა, ხოლო რაც ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დარჩა მოურწყველობის და მოუვლელობის გამო გაფუჭდა. უკან დაბრუნების შემდეგ მოსახლეობამ ბანკებიდან სესხები გამოიტანა მიწის დასამუშავებლად. წელს კი სეტყვამ ზარდიაანთკარში თითქმის მთელი მოსავალი გაანადგურა. სოფელი ზარდიაანთკარი, გორის მუნიციპალიტეტი. 2019 წელი.

ნარჩენების მართვა

ქულათა მინიჭების მეთოდოლოგია იმის შესახებაც მოიცავდა შეკითხვებს, იყო თუ არა ხელმისაწვდომი სოფელში ნარჩენების შეგროვების მომსახურება; რა ტიპის მომსახურება იყო ხელმისაწვდომი და რამდენად ხშირად ხდებოდა ნარჩენების შეგროვება; რას აკეთებენ ის სოფლები ნარჩენებს, სადაც ასეთი მომსახურება არ არის და რამდენი ხანი უნდა იმგზავრონ იმისათვის, რომ ნარჩენები გადაყარონ. შედეგების მიხედვით, სოფლების 62%-ს ნარჩენების შეგროვების მომსახურებაზე მიუწვდება ხელი. აქედან, 76%-ს ნარჩენები საერთო ნაგავსაყრელზე მიაქვს, ხოლო სოფლების 26%-ში ნარჩენები ცალკეული შინამეურნეობებიდან გროვდება. ნარჩენების შეგროვების მომსახურების მქონე სოფლების უმრავლესობაში (91%) ნარჩენების შეგროვება ყოველკვირეულად ხდება.

ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას უკეთ მიუწვდება ხელი ნარჩენების შეგროვების მომსახურებაზე, ვიდრე აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ სოფლებს; აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის 37%-ს, ხოლო ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის 71%-ს აქვს ნარჩენების შეგროვების მომსახურება.

ის მოსახლეობა, რომელსაც ნარჩენების შეგროვების მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდება, ნარჩენებს წვავს (35%), ან ყრის ცენტრალურ ადგილას (33%). ნარჩენების მოცილების შემდეგი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა მათი გადაყრა მდინარეში, ან მდინარის პირას (7%), ან კიდევ სხვა ადგილებში (19%). ნარჩენების დაწვის პრაქტიკა უფრო გავრცელებულია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (54%), ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (17%). საპირისპიროდ, ნარჩენების მდინარის პირას დაყრა მხოლოდ ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედაა გავრცელებული მოსახლეობის 13%-ში (აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ნოლი %-სგან განსხვავებით).

დიდია განსხვავება ნარჩენების შეგროვების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის მქონე და არმქონე მოსახლეობას შორის იმ დროის თვალსაზრისით, რომელიც მოსახლეობას ნაგვის შესაბამის ადგილას გადასაყრელად სჭირდება. იმ სოფლებში, სადაც ნარჩენების შეგროვების მომსახურება არსებობს, მოსახლეობა საშუალოდ 8 წუთს ხარჯავს სათანადო ადგილას ნაგვის გადასაყრელად - იმ 23 წუთთან შედარებით, რომელიც იმ სოფლებში სჭირდება მოსახლეობას, სადაც ნარჩენების შეგროვების მომსახურება არ არის.

ელექტროენერგია და განათება

ქულათა მინიჭების მეთოდოლოგიით გამოიკვლიეს ელექტროენერგიიასა და განათებაზე ხელმისაწვდომობაც. ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობის კუთხით ყველა სოფელმა განაცხადა, რომ ელექტროენერგიაზე ხელი მიუწვდება ელექტრომომარაგების ქსელიდან. ამასთანავე, ორი დასახლების (ქვითკირისწყარო და ქარქუშაანი) გარდა, ყველა სოფელმა განაცხადა, რომ ელექტროენერგია 24 საათის განმავლობაში მიეწოდება. რესპონდენტების თქმით, გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში, ელექტროენერგიის გათიშვა და შეწყვეტა წელიწადში ერთხელ მაინც ხდება დასახლებების 58%-ში. ეს შედარებით იშვიათი მოვლენაა, თუმცა, დასახლებების 6%-ის განცხადებით, ელექტროენერგიის გათიშვა და შეწყვეტა წელიწადში 10-ჯერ, ან მეტჯერაც ხდება.

რაც შეეხება ქუჩის განათებას, დასახლებების 59%-მა განაცხადა, რომ ქუჩის განათება აქვს. მათგან 64%-მა აღნიშნა, რომ დასახლებაში გზების უმეტესობა განათებულია. ადმინისტრაციულ გამყოფი ხაზებს სოფლებს შორის ქუჩის განათე-

ბის არსებობის მხრივ განსხვავება მკვეთრია: თუ ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 78%-ს ქუჩის განათება აქვს, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ იგი მხოლოდ 7%-ისთვის არის ხელმისაწვდომი.

გათბობისთვის საჭირო რესურსები

გარდა ამისა, ქულების მინიჭების მეთოდოლოგის მეშვეობით მონაცემები მოგროვდა გათბობისთვის გამოყენებულ რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებზეც, მათ შორის: ბუნებრივი აირის, შეშის, გათბობის სისტემების, საკვების მოსამზადებლად გამოყენებული რესურსებზე და ცხელ წყალზე ხელმისაწვდომობის შესახებ. სულ სოფლების 64%-ია გაზიფიცირებული. სხვა დასახლებების უმრავლესობას კი ბუნებრივი აირის მიწოდებაზე სხვა ფორმებით მიუწვდება ხელი. საერთოდ არ მიუწვდება ხელი გაზმომარაგებით ან სხვა ფორმით მიწოდებულ აირზე სოფლების 10%-ს. აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ გაზმომარაგების ხელმისაწვდომობა ნაკლებია იქ, სადაც დასახლებების მხოლოდ 30%-ია გაზიფიცირებული, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების 77%-თან შედარებით.

სოფლების 91% იყენებს შეშას, როგორც ძირითად რესურსს ზამთარში საცხოვრებლის გასათბობად, ხოლო 9% - ბუნებრივ აირს. ყველა ის დასახლება, რომელიც ბუნებრივ აირს იყენებს, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მდებარეობს. რაც შეეხება საკვების მოსამზადებლად გამოყენებულ რესურსს, მოსახლეობის 58% ბუნებრივ აირს მოიხმარს, ხოლო 41% - ძირითადად, შეშას.

შეშას მოსახლეობის უმრავლესობა (66%) სოფლის გარეთ მოიპოვებს, ან იმავე სოფელში აგროვებს (24%). მოსახლეობის უფრო მცირე ნაწილი კი შეშას სოფლის გარეთ აგროვებს და შინ მოაქვს (6%), ან სოფელშივე იძენს (2%). შეშის სოფელში მოგროვების პრაქტიკა უფრო გავრცელებულია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (40%), ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებთან შედარებით (18%). შეშის სოფლის გარეთ შეძენის პრაქტიკა კი უფრო გავრცელებულია ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (70%), ვიდრე აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში (57%).

საკმარისი რაოდენობის შეშის ხელმისაწვდომობა პრობლემურია გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობისთვის: დასახლებების მხოლოდ 15% ამბობს, რომ სოფელში შინამეურნეობების უმრავლესობა ოჯახის საჭიროებისთვის საკმარისი შეშის მოპოვებას ახერხებს. ეს საკითხი უფრო მწვავედ ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ დგას, სადაც სოფლების 12%-ში ოჯახებს საკმარისი შეშა აქვთ, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების 23%-თან შედარებით.

იქიდან გამომდინარე, რომ დასახლებების უმრავლესობა სირთულეებს აწყდება გათბობისთვის საწვავის მოძიებაში, გასაკვირი არ არის, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ასევე რთულად მიუწვდება ხელი ცხელ წყალზე - ბანაობისთვის, სახლის დალაგებისა და სარეცხისთვის. დასახლებების მხოლოდ 17%, 15%, და 18% (შესაბამისად) ამბობს, რომ ყველა ამ საქმიანობისთვის ცხელი წყლით მომარაგება აქვს. ეს საკითხი უფრო პრობლემურია ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, ვიდრე აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ. ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ, შინამეურნეობების უმრავლესობაში ცხელი წყალი საბანაოდ სოფლების 10%-ს აქვს; სახლის დასალაგებლად - სოფლების 6%-ს, ხოლო სარეცხის გასარეცხად - 10%-ს. შედარებისთვის, იმავეს აცხადებს აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების 37%, 40% და 40% შესაბამისად.

ფოტო 4: სოფელ ხურჩაში საჯარო ტრანსპორტი გაუმართავია. ავტობუსი სიძველის გამო ყოველ მეორე დღეს შესაკეთებელია. ადგილობრივების თქმით, იგი ხან ქალაქში მისვლამდე, ხან უკან დაბრუნებისას ფუჭდება. ასევე თუ ამ რეისს ვერ მიუსწარი სოფელში დასაბრუნებლად რამდენიმე კილომეტრი ფეხით უნდა გაიარო. ავტობუსი კვირას საერთოდ არ დადის. სოფელი ხურჩა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი. 2019 წელი.

ტრანსპორტირება (ავტომობილები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და გზები)

ქულათა მინიჭების სამუშაოები, აგრეთვე, მოიცავდა შეკითხვებს ავტომობილის საკუთრების, საწვავის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობისა და გზების შესახებ. შედეგები გვიჩვენებს, რომ ავტომობილი გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის 44%-ს ჰყავს. ავტომობილი უფრო მეტ ადამიანს ჰყავს აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სადაც მანქანა დასახლებების 70%-ში ჰყავთ. საპირისპიროდ, ავტომობილები ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მხოლოდ 34%-ში ჰყავს შინამეურნეობების უმრავლესობას. საწვავის შესაძენად, მოსახლეობის უმრავლესობას (97%) სოფლის გარეთ უწევს წასვლა ორივე გამყოფი ხაზის გასწვრივ. მოსახლეობის დაახლოებით ასეთივე წილის (98%) მიხედვით, მათ სოფლიდან უწევთ გასვლა ავტომობილებისთვის თხევადი აირის შესაძენად.

ქულათა მინიჭების სამუშაოების ფარგლებში რესპონდენტებს დაუსვეს კითხვები იმის შესახებ, თუ, ძირითადად, რით მგზავრობენ სოფლიდან მის ცენტრამდე, მუნიციპალურ ცენტრამდე, რეგიონულ ცენტრამდე და თბილისამდე. შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობა, როგორც წესი, ფეხით მიდის სოფლის ცენტრამდე (91%), ხოლო სამარშრუტო ტაქსით მგზავრობს მუნიციპალურ ცენტრამდე (73%), რეგიონულ ცენტრამდე (76%) და დედაქალაქამდე (87%).

მაშინ, როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა თავიანთი სოფლებიდან სამარშრუტო ტაქსით

მგზავრობს, სოფლების მხოლოდ 68%-ს მიუწვდება ხელი მიკროავტობუსებზე და სოფლების მხოლოდ 46%-ს აქვს მიკროავტობუსის გადახურული გაჩერება. ეს საკითხები თანაბრად პრობლემურია ორივე გამყოფი ხაზის მიმდებარედ. იმ მოსახლეობას, რომელსაც თავის სოფელში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე არ მიუწვდება ხელი, საშუალოდ, 5.4 კილომეტრის გავლა უწევს საზოგადოებრივ ტრანსპორტამდე მისაღწევად. ამაზე, ნაწილობრივ, რამდენიმე გარეშე ფაქტორი მოქმედებს, თუმცა, მედიანა მაინც 3 კილომეტრს შეადგენს.

სოფლების უმრავლესობაში, ძირითადად, გზები დაგებული არ არის. გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების მხოლოდ 9%-შია დაგებული გზები. ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სადაც მეტწილად, დასახლებების მხოლოდ 3%-ს აქვს, დაგებული გზები, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების 11%-თან შედარებით. იმ დასახლებებიდან, სადაც გზები, ძირითადად, დაგებული არ არის, 57%-ში გზების ძირითადი ნაწილი მოხრეშილია და 42%-ში კი გრუნტის გზებია. გრუნტის გზები ძალზე ხშირად გვხვდება აფხაზეთთან გამყოფი ხაზის გასწვრივ (დასახლებების 93%-ში გზები დაგებული არ არის), თუმცა გრუნტის გზები უფრო ხშირია ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ (56%).

კომუნიკაციები

კვლევის ფარგლებში მონაცემები მოგროვდა კომუნიკაციების, მათ შორის, ტელეფონისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შესახებაც. მოსახლეობის მხოლოდ 9%-მა განაცხადა, რომ ხელი მიუწვდება ქალაქის ტელეფონზე თავის დასახლებაში. დასახლებების უმრავლესობას, ძირითადად, მობილური სატელეფონო კავშირის მომსახურების სულ მცირე ერთ ოპერატორზე მიუწვდება ხელი. რესპონდენტთა თითქმის სრული უმრავლესობა ამბობს, რომ მაგთის მომსახურება ფარავს მათ დასახლებას (96%), ასევე დასახლებების უმეტეს ნაწილში ჯეოსელის მომსახურებაც ხელმისაწვდომია (72%). შედარებით ნაკლებია ბილაინის დაფარვა და იგი დასახლებების 51%-ს მოიცავს. კოდა ერთადერთი დასახლებაა, სადაც, რესპონდენტთა ინფორმაციით, ზემოაღნიშნული ოპერატორების ფიჭური სატელეფონო მომსახურების დაფარვა არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დასახლებების 38%-ში დაფარვა, ძირითადად, არის, ზოგიერთი შინამეურნეობა სირთულეებს აწყდება სახლიდან ფიჭური კავშირით სარგებლობისას. ეს გამოწვევაა ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 35%-ში, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების 7%-თან შედარებით. სოფლების მხოლოდ მცირე რაოდენობა (3%) იყენებს რუსულ სატელეფონო კავშირგაბმულობას აღნიშნული გამოწვევის გადაჭრის მიზნით.

სატელეფონო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან შედარებით, ინტერნეტის დაფარვა უფრო სუსტია. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 33%-ს მიუწვდება ხელი DSL ან სხვა სახის საკაბელო ინტერნეტზე. ეს საკითხი უფრო მწვავედ დგას აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სადაც დასახლებების მხოლოდ 13%-ს აქვს საკაბელო ინტერნეტი, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების 35%-თან შედარებით. რაც შეეხება მობილურ ინტერნეტს, დასახლებების 66%-ის მიხედვით, მოსახლეობას მობილურ ინტერნეტზე მიუწვდება ხელი და განსხვავებები ადმინისტრაციულ გამყოფი ხაზებს შორის მცირეა. დასახლებების დაახლოებით ერთი მეოთხედის (23%) ინფორმაციით, მათ ინტერნეტის არცერთ კავშირზე არ მიუწვდებათ ხელი. ეს გამოწვევა თანაბრადაა გავრცელებული გამყოფი ხაზების გასწვრივ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხები

ქულათა მინიჭების სამუშაოებმა ჯანდაცვის მომსახურებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხებიც მოიცვა. დასახლებების მხოლოდ 2%-მა განაცადა, რომ მათ სოფელში არის საავადმყოფო, 1%-ში არის პოლიკლინიკა და 45%-ში - ზოგადი კლინიკა. მოსახლეობის ინფორმაციით, კლინიკა საბაზისო საჭიროებებს დასახლებების 72%-ში აკმაყოფილებს. აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა უფრო მეტადაა კმაყოფილი კლინიკებით (82%), ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე მოსახლეობა (69%). იმ დასახლებებიდან, სადაც სამედიცინო დაწესებულებები არ არის, 26%-ში არის სოფლის ექიმი და 6%-ში - სოფლის ექთანი. სულ, დასახლებების 38%-ში სამედიცინო მომსახურება საერთოდ არ არის სოფელში. ეს საკითხი უფრო ნაკლებად პრობლემურია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სადაც დასახლებების 43%-ში სამედიცინო მომსახურება არის, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის გასწვრივ დასახლებების 35%-თან შედარებით. კვლევის ფარგლებში აგრეთვე შეფასდა, მშობიარობენ თუ არა ქალები შინ. ეს პრაქტიკა, მოსახლეობის მიხედვით, დასახლებების 4%-შია გავრცელებული.

სამედიცინო დაწესებულებებთან ერთად, კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს აფთიაქების ხელმისაწვდომობის შესახებაც ჰკითხეს. დასახლებების მხოლოდ 10%-მა განაცხადა, რომ მათ სოფელში აფთიაქი არის. აფთიაქები ოდნავ მეტადაა ხელმისაწვდომი აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (დასახლებების 17%), ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებთან შედარებით (7%). იმ დასახლებებში, სადაც აფთიაქები არის, კვლევის მონაწილეებს ისიც ჰკითხეს, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ეს აფთიაქები საბაზისო საჭიროებებს. ერთის გარდა, ყველა დასახლებაში ამ შეკითხვაზე პასუხი დადებითი იყო.

საგანმანათლებლო დაწესებულებები

კვლევის ფარგლებში მონაწილეებს კითხვა სკოლამდელი განათლების დაწესებულებების, საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ხელმისაწვდომობის შესახებაც დაუსვეს. დასახლებების მხოლოდ 30%-მა განაცხადა, რომ საბავშვო ბაღი ან ბაგა-ბაღის დაწესებულება აქვს. ეს საკითხი უფრო მწვავედ დგას ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სადაც დასახლებების მხოლოდ 20%-ს მიუწვდება ხელი საბავშვო ბაღზე - აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 57%-თან შედარებით.

საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების დაწესებულებების გარდა, კვლევის ფარგლებში მონაწილეებს რიგი ინდიკატორების, კერძოდ, ამ დაწესებულებების ინფრასტრუქტურის, მათ შორის, შენობაში საპირფარეშოს არსებობის, საპირფარეშოში წყალგაყვანილობის არსებობის, საპირფარეშოში საპნისა და ტუალეტის ქაღალდის რეგულარულად ხელმისაწვდომობის შესახებაც ჰკითხეს; ასევე - სთავაზობს თუ არა საბავშვო ბაღი/ბაგა-ბაღი კვებას და აქვს თუ არა მას ადეკვატური გათბობა ზამთარში. საბავშვო ბაღების/ბაგა-ბაღების ერთ მეოთხედს (25%) საპირფარეშო აქვს შენობაში, 22%-ს არ აქვს წყალგაყვანილობა საპირფარეშოში, 23%-ს არ აქვს საპონი, 12% არ აქვს ტუალეტის ქაღალდი, 4% არ სთავაზობს კვებას და 4% არ აქვს სათანადო გათბობა ზამთარში. საპირფარეშოებთან დაკავშირებული ყველა ეს საკითხი უფრო მწვავედ დგას აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში. სხვა საკითხების მიმართ გამყოფი ხაზების მიმდებარე დასახლებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოიკვეთა.

ქულათა მინიჭების კომპონენტში მონაცემები სკოლების შესახებაც მოგროვდა. დასახლებების ნახევარმა აღნიშნა, რომ მათ სოფელში სკოლა არის, ხოლო ნახევარმა დაადასტურა,

რომ სკოლა არ აქვს. სკოლების არსებობა და არარსებობა მეტნაკლებად თანაბრადაა განაწილებული ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზებს შორის. სულ სკოლების 63% უზრუნველყოფს სრული 12 კლასის განათლებას, ხოლო 30% - მხოლოდ 9 კლასის ჩათვლით. აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ უფრო მეტი სკოლა უზრუნველყოფს 12 კლასის განათლებას (75%), ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის გასწვრივ (58%).

რესპონდენტებს აგრეთვე ჰკითხეს სკოლების ინფრასტრუქტურის შესახებ, საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების დაწესებულებების მსგავსად. ბაგა-ბაღების და საბავშვო ბაღებისგან განსხვავებით, სათანადო საპირფარეშოები სკოლების შედარებით ნაკლებ რაოდენობას აქვს. რესპონდენტთა ინფორმაციით, სკოლების ერთ მეოთხედში (25%) საპირფარეშოები შენობებშია; სკოლების ნახევარს (52%) საპირფარეშოებში წყალგაყვანილობა აქვს, ხოლო ნახევარს (48%) - არა. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სადაც დასახლებების მხოლოდ 18% ამბობს, რომ სკოლების საპირფარეშოებში წყალგაყვანილობა არის, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 65%-თან შედარებით. რესპონდენტთა განცხადებით, სკოლების მხოლოდ ნახევარშია (50%) საპირფარეშოებში საპონი. ეს საკითხიც უფრო მწვავედ აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ დგას, სადაც, გამოკითხულთა ინფორმაციით, სათემო სკოლების მხოლოდ 6%-შია შიდა საპირფარეშოები, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სათემო სკოლების 68%-თან შედარებით. დასახლებების 59%-ის მიხედვით, სკოლის საპირფარეშოებში ტუალეტის ქაღალდი რეგულარულად ხელმისაწვდომია. აღნიშნული საკითხიც უფრო პრობლემურია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში: რესპონდენტთა ინფორმაციით, მაშინ, როდესაც აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სკოლების 31%-ს აქვს ტუალეტის ქაღალდი, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ, იგი სკოლების 70%-შია ხელმისაწვდომი. რაც შეეხება სკოლებში კვებას, გამოკითხულთა განცხადებით, სკოლების 20% უზრუნველყოფს კვებას. აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ სკოლების 31% უზრუნველყოფს კვებას, ხოლო ცხინვალის რეგიონთან/ სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სკოლების 15%. რაც შეეხება გათბობას, რესპონდენტთა ინფორმაციით, სკოლების 93%-ს აქვს საკმარისი სითბო ზამთარში და ამ მხრივ ადმინისტრაციულ გამყოფი ხაზებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ იკვეთება.

სასოფლო-სამეურნეო მომსახურებები

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, განსაკუთრებით - სოფლად. გამყოფი ხაზების მიმდებარე ტერიტორია, უმეტესწილად, სოფლად მდებარეობს. მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო მომსახურებების ხელმისაწვდომობის დონის განსაზღვრა გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების გაცნობიერების მნიშვნელოვანი ასპექტია. ამდენად, კვლევის ფარგლებში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ პროდუქციასა და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა, აზიური ფაროსანას გავრცელება, საირიგაციო წყალზე, მიწასა და ბაზრებზე ხელმისაწვდომობა შეფასდა.

რაც შეეხება პროდუქციასა და მომსახურებებს, რესპონდენტებს შეკითხვების პირველი ნაწილი ცხოველებისათვის ისეთი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის შესახებ დაუსვეს, როგორიცაა მაგალითად ვაქცინები. მხოლოდ ორ დასახლებას (გამყოფი ხაზების მიმდებარე ყველა დასახლების 2%) მიუწვდება ხელი ცხოველების მედიკამენტებზე თავიანთ სოფლებში. ორივე მათგანი ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთ-

ფოტო 5: ქსენია ვაზაგაშვილი მეუღლესთან ერთად მიდის პენსიის ასაღებად. სოფელში ძირითადად ასაკოვანი ხალხი ცხოვრობს. მათ ხშირად სჭირდებათ სამედიცინო მომსახურება. ერთადერთი ამბულატორია, რომელიც შედარებით ახლოსაა 5 კილომეტრში სოფელ რენეში მდებარეობს. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მანქანა არ ჰყავს. გორის მიმართულებით მიმავალი საჯარო ტრანსპორტი მხოლოდ კვირაში ერთხელ ამოდის. ასევე კვირაში ერთი რეისია თბილისის მიმართულებით. ხშირ შემთხვევაში ადგილობრივებს ფეხით უხდებათ ამბულატორიამდე მისვლა. სოფელი ყარაფილა, კასპის მუნიციპალიტეტი. 2019.

თან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მდებარეობს. იმ დასახლებებში კი, სადაც ასეთი მომსახურება არ არის, ამგვარ დაწესებულებებამდე მისასვლელად მოსახლეობას, საშუალოდ, ერთი საათი და მედიანური დრო 45 წუთი სჭირდება. მგზავრობის დრო უფრო დიდია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებისთვის და საშუალოდ 76 წუთს შეადგენს, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებთან შედარებით (54 წუთი).

გამყოფი ხაზების მიმდებარე მრავალი დასახლებისთვის ვეტერინარის ხელმისაწვდომობაც გამოწვევაა. ხუთიდან ერთი დასახლების (21%) ინფორმაციით, მათ სოფლებში ვეტერინარი ხელმისაწვდომი არ არის. ეს უფრო პრობლემურია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სადაც დასახლებების მხოლოდ 57%-ს მიუწვდება ხელი ვეტერინარზე, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 87%-თან შედარებით. იმ დასახლებებში, რომლებსაც ვეტერინარზე ხელი არ მიუწვდებათ, მოსახლეობას საშუალოდ 75 წუთის (48 წუთიანი მედიანა) განმავლობაში უწევს მგზავრობა ვეტერინართან მისასვლელად. მგზავრობის დრო მნიშვნელოვნად უფრო დიდია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (მგზავრობის საშუალო დრო 107 წუთია 36 წუთთან შედარებით; მგზავრობის დროის მედიანა - 120 წუთი და 40 წუთია).

რაც შეეხება, მაღაზიებს, სადაც სასუქები, პესტიციდები, თესლები და სხვა გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო საქონელი იყიდება, დასახლებების მხოლოდ 4% აცხადებს, რომ მის სოფელში ასეთი ტიპის მაღაზია არსებობს. ყველა ის დასახლება, რომელიც აცხადებს, რომ ასეთი მაღაზია აქვს, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მდებარეობს. იმ დასახლებებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეძენაზე მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება, მგზავრობა, საშუალოდ, ერთი საათი უწევს მზგავრობა და მედიანური 45 წუთი. ისევე, როგორც ვეტერინარის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, მგზავრობის საშუალო დრო უფრო მაღალია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (76%), ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებთან (54 წუთი).

სასოფლო-სამეურნეო მომსახურებების შესახებ, დასახლებების 11% ამბობს, რომ ასეთ მომსახურებაზე ხელი მიუწვდება და ხელმისაწვდომობის ხარისხი თანაბარია ორივე გამყოფი ხაზის მიმდებარედ. ამ მომსახურებებამდე მისასვლელად მგზავრობის საშუალო დრო 48 წუთს შედგენს, ხოლო მედიანა - 38 წუთს. წინა ინდიკატორების მსგავსად, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას მნიშვნელოვნად უფრო დიდ ხანს უწევს მგზავრობა (84 წუთი), ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/ სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას (35 წუთი).

რაც შეეხება აზიური ფაროსანას გავრცელებას, დასახლებების 36%-ის ინფორმაციით, იგი მათ სოფლებსაც შეეხო. აქედან, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 97% ამბობს, რომ აზიური ფაროსანას გავრცელება მათ სოფლებს შეეხო, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 13%-თან შედარებით. მაშინ, როდესაც ფაროსანას გავრცელება დასახლებების 36%-ს შეეხო, მხოლოდ 16% აცხადებს, რომ შეწამვლის სახელმწიფო მომსახურებით ისარგებლა. ამ დასახლებების ნახევარი აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (50%) და 4% ცხინვალის რეგიონთან/ სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ მდებარეობს.

კვლევამ საირიგაციო წყლის ხელმისაწვდომობაც შეაფასა. დასახლებების მხოლოდ 18%-მა განაცხადა, რომ საირიგაციო წყალი სარწყავი სისტემიდან აქვს. დასახლებების დიდმა ნაწილმა (38%) კი აღნიშნა, რომ არანაირი ირიგაცია არ აქვს.

გრაფიკი 9:

სარწყავი წყლის რესურსები



ამ საკითხთან დაკავშირებით, შედარებით კომპლექსური ტენდენციები გამოიკვეთა ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზებს შორის. ერთი მხრივ, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ არც ერთ დასახლებას არ განუცხადებია, რომ ხელი არ მიუწვდება რაიმე სახის სარწყავ წყალზე, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 51%-თან შედარებით. ამავდროულად, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე არც ერთ დასახლებას არ განუცხადებია, რომ ხელი მიუწვდება რაიმე სარწყავ სისტემაზე, მაშინ, როდესაც ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 24%-მა აღნიშნა ეს. რაც იმაზე მიუთითებს, რომ აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სარწყავი სისტემების განვითარება პრიორიტეტული უნდა იყოს, ხოლო ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, მნიშვნელოვანია უპირატესობა მიენიჭოს რაიმე სახის ირიგაციის უზრუნველყოფას იმ დასახლებებში, სადაც სარწყავი სისტემა არ არსებობს.

გრაფიკი 10:

ირიგაციის რესურსები გამყოფი ხაზების მიხედვით



იმ დასახლებებში, სადაც სარწყავი წყალი არის, კვლევის მონაწილეებს ჰკითხეს, ჰყოფნით თუ არა სარწყავი წყალი მთელი სეზონის განმავლობაში. დასახლებების ერთმა მესამედმა (36%) განაცხადა, რომ წყალი მთელი სეზონისთვის საკმარისია. მაშინ, როდესაც აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ გრაფიკი 13%-ს გვიჩვენებს, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებისთვის ეს მაჩვენებელი 53%-ს შეადგენს. რესპონდენტებს ჰკითხეს, აკმაყოფილებს თუ არა, ზოგადად, წყალი მათი სოფლების სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებს. იმ დასახლებების 29%-მა, სადაც სარწყავი წყალი არის, ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხი გასცა. ამ მხრივ სიტუაცია უკეთესია ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის გასწვრივ, სადაც დასახლებების 43%-თვის წყალი საკმარისია, ხოლო აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისთვის სარწყავი წყლის საკმარისი რაოდენობის შესახებ დასახლებების მხოლოდ 10%-მა გასცა დადებითი პასუხი.

ამასთანავე, კვლევის ფარგლებში გამოკვლეული იყო, დაკარგეს თუ არა დასახლებებმა კონფლიქტის შედეგად თავიანთ სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და სხვა რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის: სახნავ-სათეს მიწებზე, საძოვრებზე, ხეხილის ბაღებზე, ტყეებზე, სარწყავ წყალზე და წყლის სხვა რესურსებზე. შედეგები გვიჩვენებს, რომ ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე მოსახლეობამ გაცილებით უფრო მეტი რესურსი დაკარგა, ვიდრე აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ. მაგალითად, თუ ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების ორმა მესამედმა საძოვრები დაკარგა, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ ეს დასახლებების მხოლოდ 7%-ში მოხდა. ტენდენციები, ძირითადად, მსგავსია ყველა სახის რესურსებისთვის, რომელიც წინამდებარე კვლევამ მოიცვა.

გრაფიკი 11:

კონფლიქტის შედეგად დაკარგული რესურსების სახეობები



ზემოთ განხილული რესურსების გარდა, კვლევამ ბაზრებზე ხელმისაწვდომობაც შეისწავლა. ამ მიზნით, რესპონდენტებს ჰკითხეს, თუ სად დადის მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის (გარდა თავისი პროდუქციისა) რეალიზაციისთვის და სად მიდიან კონკრეტულად სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის რეალიზაციისთვის. კვლევამ გვიჩვენა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა თავის ნაწარმს მუნიციპალურ ან რეგიონულ ცენტრში ჰყიდის. მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილს კი თავისი ნაწარმი თბილისში, თავის სოფელში ან სოფელში მიაქვს გასაყიდად.

გრაფიკი 12:

ბაზრებზე ხელმისაწვდომობა



აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა უფრო მაღალი ალბათობით ახდენს ორივე ტიპის ნაწარმის რეალიზაციას თავისივე სოფელში, ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე მოსახლეობა. მოსახლეობის უმრავლესობა თავის ნაწარმს თავისივე რეგიონში ან მუნიციპალიტეტში ჰყიდის, მიუხედავად იმისა, თუ რომელი გამყოფი ხაზის მიმდებარედ ცხოვრობს.

გრაფიკი 13:

ბაზრებზე ხელმისაწვდომობა გამყოფი ხაზების მიმდებარედ



კულტურა, გართობა და დასვენება

ქულათა მინიჭების სამუშაოების ფარგლებში მონაწილეებს კულტურასთან, გართობასა და დასვენებასთან დაკავშირებული შეკითხვებიც დაუსვეს. მათ ჰკითხეს ტელევიზიისა და რადიოს შესახებ, ვინაიდან ისინი საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის გართობის ძირითადი საშუალებაა. კვლევაში მონაწილე დასახლებების 96%-მა განაცხადა, რომ მათი სოფლების მოსახლეობის უმრავლესობას ტელევიზორი აქვს და სატელევიზიო სიგნალზეც მიუწვდება ხელი. აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, მოსახლეობის უმრავლესობას (90%) სატელიტური ტელევიზია აქვს, ხოლო ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, ტელევიზია, ძირითადად, საკაბელოა (74%). გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში რადიოს ხელმისაწვდომობა უფრო დაბალია. დასახლებების 49%-ის მიხედვით, მათი სოფლების უმრავლესობას რადიო აქვს და რადიო სიგნალსაც იჭერს. რადიოს ხელმისაწვდომობა უფრო მაღალია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (დასახლებების 63%), ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/ სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში (44%).

კვლევამ, აგრეთვე, შეაფასა ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების, კლუბებისა და წრეების ხელმისაწვდომობა. კვლევის მონაცემების მიხედვით, დასახლებების 14%-ს აქვს ბიბლიოთეკა, 7%-ს - კულტურის სახლი და 13%-ს -კლუბები ან წრეები. ყველა ეს დაწესებულება უფრო გავრცელებულია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ

ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ. აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 23%-ს აქვს ბიბლიოთეკა, 20%-ს - კულტურის სახლი და 20%-ს - რაიმე ტიპის კლუბი. შედარებისთვის, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 11%-ს აქვს ბიბლიოთეკა, 2%-ს - კულტურის სახლი და 11%-ს - კლუბები ან კულტურული წრეები.

კვლევამ სპორტული დაწესებულებებიც მოიცვა. დასახლებების მხოლოდ 18%-მა განაცხადა, რომ აქვს სპორტული მოედანი, რომელიც ერთზე მეტი სპორტის სახეობისთვის შეიძლება გამოიყენო. მაშინ, როდესაც აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 30%-მა დაადასტურა, რომ სპორტული მოედანი აქვს, ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხი ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების მხოლოდ 13%-მა გასცა. იმ დასახლებების 45%-მა, სადაც სპორტული მოედანი არის, განაცხადა, რომ მოედანი საკმარისად კარგ მდგომარეობაშია იმისათვის, რომ ბავშვებმა ისარგებლონ, ხოლო 55%-მა აღნიშნა, რომ არ არის. სტადიონები უკეთეს მდგომარეობაშია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ.

კვლევამ გიმნაზიების ხელმისაწვდომობაც შეაფასა. სულ, შვიდიდან ერთმა (14%) დასახლებამ დაადასტურა გიმნაზიის არსებობა. უფრო ხშირად გიმნაზიები აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ არსებობს (დასახლებების 40%), ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზისაგან (დასახლებების 5%) განსხვავებით.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ჰკითხეს, მიუწვდებათ თუ არა ხელი სივრცეებზე შეხვედრებისთვის და დაკარგეს თუ არა კომუნალურ სივრცეებზე ხელმისაწვდომობა კონფლიქტის შედეგად. მონაცემების მიხედვით, დასახლებების 43%-ს ხელი მიუწვდება სივრცეებზე შეხვედრებისთვის. ასეთი სივრცეები თანაბრადაა ხელმისაწვდომი როგორც აფხაზეთთან, ისე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ. რაც შეეხება სასაფლაოებს, კვლევის მიხედვით, დასახლებების 7%-მა დაკარგა სასაფლაოებზე ხელმისაწვდომობა, რაც თანაბრადაა გავრცელებული ორივე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში. სასაფლაოების გარდა, დასახლებების 20%-მა ეკლესიებზე ხელმისაწვდომობაც დაკარგა. ეს საკითხი უფრო პრობლემურია ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სადაც დასახლებების 26%-მა დაკარგა ეკლესიაზე ხელმისაწვდომობა, აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 3%-თან შედარებით.

ფინანსურ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა

კვლევამ უფრო ზოგადად შეაფასა გადახდის აპარატებსა და საბანკო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა. სოფლების მხოლოდ 26%-მა განაცხადა, რომ გადახდის აპარატი აქვს. ამ ტიპის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა მცირედ უფრო მაღალია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (დასახლებების 37%), ვიდრე ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (დასახლებების 22%). რაც შეეხება ბანკომატების, ან ბანკის ფილიალების ხელმისაწვდომობას, გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის 18% აქვს ბანკი თავიანთი სათემო ცენტრიდან ხუთკილომეტრიანი რადიუსის ფარგლებში. ასეთივე მდგომარეობაა აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 25%-ში და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 15%-ში. კვლევის მონაწილეებს ასევე ჰკითხეს, თუ რამდენად აღწევს ბანკის მობილური ფილიალი მათ სოფლებამდე. დასახლებების 63%-ის ინფორმაციით, ბანკის მობილური ფილიალი მათ სოფელამდე აღწევს. ეს პრაქტიკა უფრო გავრცელებულია ცხინ-

ვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (78%), ვიდრე აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში (23%). იმ დასახლებების 93%-ში, რომელთაც მობილურ საბანკო მომსახურებაზე მიუწვდებათ ხელი, მობილური ფილიალი მხოლოდ თვეში ერთხელ მიდის მათ სოფლებში.

კვების უსაფრთხოება

კვლევამ კვების უსაფრთხოების საკითხებიც შეაფასა, მათ შორის, სასურსათო მაღაზიის ხელმისაწვდომობა და აქვს თუ არა შინამეურნეობების უმრავლესობას თავისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საკმარისი საკვები. დასახლებების 46%-ში სასურსათო მაღაზია არის. მნიშვნელოვანი განსხვავებები ადმინისტრაციულ გამყოფი ხაზებს შორის სასურსათო მაღაზიის ხელმისაწვდომობის კუთხით არ გამოიკვეთა. რაც შეეხება, აქვთ თუ არა სოფლების წევრებს საკმარისი საკვები, დასახლებების მხოლოდ 39%-მა განაცხადა, რომ სოფელში შინამეურნეობების უმრავლესობას საკმარისი საკვები აქვს. საკვების ნაკლებობა უფრო გავრცელებულია აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ, სადაც დასახლებების 73%-მა განაცხადა, რომ შინამეურნეობების უმრავლესობას საკმარისი საკვები არ აქვს, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 56%-თან შედარებით

უსაფრთხოება

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს ჰკითხეს უსაფრთხოების რიგი საკითხების შესახებ, მათ შორის, გადის თუ არა გამყოფი ხაზი უშუალოდ მათ სოფელზე; გამოჩენილან თუ არა რუსული/აფხაზური/ოსური ძალები მათ სოფელში უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში; მოხდა თუ არა ე.წ. ბორდერიზაცია მათ სოფელში; დაკავებულა თუ არა ვინმე მათ სოფელში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში და როგორია დაკავებულთა შორის ქალების წილი; არის თუ არა პოლიციის განყოფილება მათ სოფელში და არის თუ არა პოლიციელი, რომელიც რეგულარულად პატრულირებს მათ დასახლებაში.

გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებების 43%-მა განაცხადა, რომ გამყოფი ხაზი მათ სოფელზე გადის. ეს ბევრად უფრო ხშირად ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის (55%) მიმდებარედ ხდება, ვიდრე აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (10%). გამყოფი ხაზის მიმდებარე ხუთიდან ერთმა სოფელმა განაცხადა, რომ ე,წ, ბორდერიზაცია განხორციელდა (20%). ყველა ეს სოფელი ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ მდებარეობს (27%). დასახლებების 13%-ში რუსული, ოსური ან აფხაზური ძალები უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე გამოჩენილან. ესეც მხოლოდ ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში მოხდა. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, დასახლებების ნახევრიდან მაცხოვრებელი გაუტაცებიათ (48%). ესაც მნიშვნელოვნად უფრო ხშირია ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ (დასახლებების 61%), ვიდრე აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (10%). გარდა ერთისა, ყველა დასახლებაში (რომლის მაცხოვრებლებმაც ერთი ქალის გატაცების შესახებ განაცხადეს), გატაცებული ადამიანების უმრავლესობა მამრობითი სქესისაა.

რაც შეეხება ადგილზე პოლიციის ყოფნას, დასახლებების 17%-მა განაცხადა, რომ რაიმე ფორმით პოლიციის განყოფილება აქვს. ეს უფრო ხშირია ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (22%), ვიდრე აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (3%). თუმცა, დასახლებების ორმა მესამედმა განაცხადა, რომ პოლიცია რეგულარულად პატრულირებს სოფლებში და ამ მხრივ ადმინისტრაციულ გამყოფი ხაზებს შორის მცირე განსხვავებები გამოიკვეთა.

სამართლებრივი უფლებები და კონტროლი აქტივებზე

კვლევის რაოდენობრივი კომპონენტით მოცული ბოლო ნაწილი მოიცავდა შეკითხვებს სამართლებრივი უფლებებისა და აქტივებზე კონტროლის შესახებ. მონაწილეებს ჰკითხეს, როგორც წესი, რეგისტრირებული ჰქონდა თუ არა მოსახლეობას თავიანთი მიწა. დასახლებების მხოლოდ 34%-მა გასცა ამ შეკითხვას დადებითი პასუხი (43% აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ და 30% ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ). რაც შეეხება კომპენსაციის მიღებას სამხედრო მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, ყოველი ხუთიდან მხოლოდ ერთი დასახლება ადასტურებს, რომ მათ სოფელში კომპენსაცია ყველამ მიიღო. ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ უფრო მეტმა დასახლებამ (26%) მიიღო კომპენსაცია, ვიდრე აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ (3%).

საკითხების ზოგადი სიმწვავე

ზემოთ შემოგთავაზეთ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზების მიმდებარედ არსებული გამოწვევების გავრცელების მიმოხილვა. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ზემოთ განხილული ძირითადი გამოწვევების შედარებითი გავრცელება და მონაცემები გრაფიკებზე დანაწილებულია გამყოფი ხაზის მიხედვით.

ფოტო 6: ნათია 30 წლისაა, მას 3 შვილი ჰყავს. სამსახური არ აქვს. მისი მეულღე დროებით მუშად აიყვანეს. სახლში გაზი არ აქვთ შემოყვანილი, ვინაიდან გადასახადს ვერ გადაიხდიან. ნათიასაც უნდა მუშაობა, მაგრამ ბავშების გამო ვერ ახერხებს. სოფელში რაც გაკეთდა - გზა, წყალი, კმაყოფილია. მისი ოჯახის პრობლემა უმუშევრობაა. სოფელი პერევი, საჩხერის მუნიციპალიტეტი, 2019 წელი.

გრაფიკი 14:

ინდიკატორების პროცენტული განაწილება გეოგრაფიულ ჭრილში

რიგითობა	საკითხი	სულ	აფხაზეთის გამყოფი ხაზი	ცხინვალის რეგიონის/ სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზი
1	არ არის ვეტერინარული აფთიაქი	98	100	98
2	არ არის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის მაღაზია	96	100	94
3	არ არის სპორტული მოედანი ან მოედანი არაა შესაფერისი	92	80	96
4	არ არის ქალაქის ტელეფონი	91	83	94
5	გზები, ძირითადად, დაგებული არ არის	91	97	89
6	მოსახლეობას არ აქვს აფთიაქი	90	83	93
7	არ არის ბიბლიოთეკა	86	77	89
8	მოსახლეობის უმეტესობას სათანადოდ არ მიუწვდება ხელი შეშაზე	85	77	88
9	არ არის პოლიციის განყოფილება	83	97	78
10	არ არის საირიგაციო წყალი არხიდან	82	100	76
11	საირიგაციო წყალი არ მოედინება საირიგაციო სისტემიდან	82	90	79
12	სანიაღვრე სისტემა არ არსებობს ან არაეფექტიანია	79	88	76
13	არ არის სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემა	76	93	70
14	ზოგიერთი სოფლის მოსახლეობას არ მიუღია სამხედრო მოქმედებების შედეგად მიღებული ზიანის ანაზღაურება	76	97	68
15	არ არის საკაბელო ინტერნეტი	71	87	65
16	არ არის საბავშვო ბაღი/ სკოლამდელი განათლების დაწესებულება	70	43	79

17	არ არის წყალმომარაგების სისტემა	67	93	57
18	მიწა სამართლებრივად რეგისტრირებული არ არის	66	57	70
19	გზების უმრავლესობაზე განათება არ არის	63	97	50
20	ბევრი შინამეურნეობა საკვების ნაკლებობას განიცდის	61	73	56
21	მოსახლეობას ეთიშება ელექტროენერგია	58	57	59
22	არ არის სამედიცინო დაწესებु-ლებები	57	70	52
23	ადამიანების უმრავლესობას არ ჰყავს მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალება	56	30	66
24	სულ მცირე ერთი სატელეფონო ოპერატორის ხელმისაწვდომო-ბის ნაკლებობა	55	47	59
25	არ არის მიკროავტობუსის გადახურული გაჩერება	54	47	56
26	რადიომაუწყებლობა არ არის ხელმისაწვდომი	51	37	56
27	არ არის სკოლა	50	47	51
28	დაკავებები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში	48	13	61
29	არ არის ქუჩის განათება	41	93	22
30	არ არის სოფლის ექიმი	41	50	38
31	არ არის სოფლის ექთანი	38	43	35
32	არ ხდება ნარჩენების შეგროვება	38	63	29
33	სოფელი არ არის გაზიფიცირებული	36	70	23
34	არარეგულარული მობილური ინტერნეტის დაფარვა	34	23	38
35	პოლიცია არ პატრულირებს	34	40	32
36	არარეგულარული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა	32	30	33

37	მოსახლეობა განიცდის სატელეფონო მომსახურების ნაკლებობას	28	7	35
38	არ არის ვეტერინარი	21	43	13
39	რუსული/აფხაზური/ოსური ძალები სოფელში უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში გამოჩნდნენ	13	0	17
40	ქალები შინ მშობიარობენ	4	0	5
41	არ არის სატელევიზიო სიგნალი	4	3	5
42	ელექტროენერგია 24 საათის განმავლობაში არ მიეწოდება	1	0	1

შესაძლებლობები

იმ შესაძლებლობების განსასაზღვრად, რომელთა გამოყენებითაც დასახლებები ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული თავიანთი სოფლების ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით, ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან გამყოფი ხაზების მიმდებარე ექვს მუნიციპალიტეტში SWOT ანალიზის ჩასატარებლად ფოკუს ჯგუფების გამოყენება მოხდა, მათ შორის: დუშეთში, გორში, ქარელში, კასპში, წალენჯიხასა და ზუგდიდში. წინამდებარე თავში ამ ანალიზის შედეგებს წარმოგიდგენთ.

ფოტო 7: ირაკლი თავის ბაღში სეტყვისგან გადარჩენილ მსხალს კრეფს. წელს გორის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფლებში სეტყვამ თითქმის მთლიანად გაანადგურა მოსავალი. გუგუტიანთკარში, ზედა უბანში კვლავ წყლის პრობლემაა. მხოლოდ 2 დღეში ერთხელ მოდის წყალი, რომელიც დასალევად უვარგისია. სოფელი გუგუტიანთკარი, გორის მუნიციპალიტეტი. 2019 წელი.

დუშეთის მუნიციპალიტეტი

რესპონდენტებმა დუშეთის მუნიციპალიტეტში გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებიდან, ის ძლიერი მხარეები განსაზღვრეს, რომელიც მათ სოფლებს ძალზე მცირე რაოდენობით აქვთ. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მეცხოველეობა და მერძევეობა ამ სოფლების ყველაზე ძლიერი რესურსია. მათი ინფორმაციით, გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ძროხები თითქმის ყველა შინამეურნეობას ჰყავს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ამ რეგიონის ძლიერ მხარეებად ისეთი კომუნალური მომსახურებები ჩამოთვალეს, როგორიცაა ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და ინტერნეტი, მაგრამ ცხადია, დასახელებული მომსახურებები ვერ შექმნის უნიკალურ შესაძლებლობებს გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებისთვის.

სოფლის გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, სასმელი და საირიგაციო წყლის რესურსების ნაკლებობა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეები გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ძირითად სუსტ მხარეებად დასახელდა. ამასთან, რესპონდენტებმა შეშის შეზღუდული ხელმისაწვდომობა და მაღაზიების ნაკლებობაც აღნიშნეს, როგორც პრობლემა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში.

რესპონდენტებმა ეს პრობლემები ინვესტიციების ნაკლებობას დაუკავშირეს, რადგან არავინაა დაინტერესებული ისეთი სოფლების მონახულებით, სადაც გზები არ არის და საზოგადოებრივი ტრანსპორტიც არარეგულარულია. ამ პირობებში სოფლების მცხოვრებლებს გადაადგილებისთვის ავტომობილების დაქირავება უწევთ, რაც დამატებითი ხარჯია შინამეურნეობების ისედაც მწირი ბიუჯეტისთვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებები სასმელი და საირიგაციო წყლის რესურსების ნაკლებობას განიცდიან. მცხოვრებლები თავად ცდილობენ ჭების გათხრას, თუმცა ეს სულაც არ წყვეტს წყალმომარაგების პრობლემას. გამყოფი ხაზის მიმდებარედ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ბუნდოვანება კიდევ უფრო ამწვავებს წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რადგან საირიგაციო არხების წყაროები საქართველოს მთავრობის კონტროლსმიღმა ტერიტორიებზე მდებარეობს.

მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მერძევეობის განვითარებას მნიშვნელოვანი შესაძლებლობების შექმნა შეუძლია, რადგან შესაძლებელია პროდუქციის ტურისტებზე და მეზობელ არაგვის ხეობაში მდებარე სასტუმროებზე რეალიზაცია. თუმცა რძის შემგროვებელი პუნქტების ნაკლებობა მნიშვნელოვან დაბრკოლებად მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ დუშეთის მუნიციპალურმა ხელისუფლებამ და საქართველოს მთავრობამ ეს საკითხი რძის შემგროვებელი პუნქტების გახსნის ან სუბსიდირების გზით უნდა გადაჭრას.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებიდან, განვითარებისთვის ხელისშემშლელ რამდენიმე საფრთხეს გაუსვეს ხაზი. პირველია დეპოპულაცია - გამოწვევა, რომელიც დუშეთის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტისთვის დიდი ხანია პრობლემას წარმოადგენს. ამასთან, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მიწის რეგისტრაციის ფასი და პროცესი მნიშვნელოვანი საფრთხეა, ვინაიდან არასაჭირო დაბრკოლებებს ქმნის და ხელს უშლის მოსახლეობას, აქტიურად ჩაერთოს სოფლის მეურნეობაში.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიერ განსაზღვრული ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები დუშეთის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ქვემოთ მოცემულ ცხრილშია შეჯამებული:

გრაფიკი 15:

დუშეთის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

დუშეთის მუნიციპალიტეტი SWOT ანალიზი	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
მეცხოველეობა; მერძევეობა; ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიისა და ინტერნეტ ინფრასტრუქტურის არსებობა	გზების მდგომარეობა სოფლად; სასმელი და საირიგაციო წყლის რესურსების ნაკლებობა; სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა; შეშის რესურსზე ხელმისაწვდომობა; სასურსათო მაღაზიების ნაკლებობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
მერძევეობა	დეპოპულაცია; მიწის რეგისტრაციის ფასი; მიწის რეგისტრაციის პროცესი

გორის მუნიციპალიტეტი

გორის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებიდან რესპონდენტებმა თავიანთ სოფლებში ყველაზე ძლიერ აქტივობად სოფლის მეურნეობა დაასახელეს; აღნიშნეს, რომ მებაღეობის ტრადიციული დარგები და, კერძოდ, მეხილეობა, მათი სოფლებისთვის კონკურენტუნარიან უპირატესობას ქმნის. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ხაზი იმასაც გაუსვეს, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე მოსახლეობა და მათი შრომისმოყვარე და უდრეკი ხასიათი, ასევე, ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ამ სოფლებს.

რაც შეეხება სუსტ მხარეებს, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად დასახელდა. მართალია, კერძო სატრანსპორტო მომსახურება ყველა დასახლებაშია ხელმისაწვდომი, მაგრამ მათი ფასი მაღალია. სხვა კომუნალური მომსახურებებიდან, რესპონდენტებმა სუსტ მხარეებად ნარჩენების შეგროვება და შიდა გზების ხარისხი გამოყვეს.

მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობა ძირითადი ეკონომიკური სექტორია, რესპონდენტებმა გორის მუნიციპალიტეტში, ამ სექტორის განვითარების კუთხით, მთავარი სუსტი მხარეები და ბარიერები დაასახელეს, ესენია: საირიგაციო არხებზე ხელმისაწვდომობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა და ნათესების დაცვის ღონისძიებების ფასი და ხარისხი.

მებაღეობის არსებული ცოდნა და ტრადიცია გორის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებისთვის ძირითად შესაძლებლობად ითვლება. არსებული ძლიერი მხარეების შესაძლებლობებად გადაქცევისთვის რესპონდენტებს მთავრობის დახმარება მიაჩნიათ გადამწყვეტად. ისინი ფიქრობენ, რომ ისეთი სტიმულის მიცემა, როგორიცაა ვაუჩერები სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისთვის და გრანტები (ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლებისგან), არსებითია მათი სოფლების ეკონომიკური განვითარებისთვის. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ის შესაძლებლობები, რომლებსაც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სთავაზობენ მათ (ტრენინგები და მცირე გრანტები), უკვე აუმჯობესებენ ადგილობრივი სოფლების საარსებო წყაროებს. მათ, ასევე, განაცხადეს, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის სტიპენდიების

უზრუნველყოფა მეტ სტუდენტს წაახალისებდა განათლების მისაღებად.

მონაწილეებს უსაფრთხოების საკითხები მათ სოფლებში სტაბილურობისა და კეთილდღეობის მთავარ პრობლემად მიაჩნიათ. საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიასა და მის კონტროლსმიღმა ტერიტორიებთან დაკავშირებული ბუნდოვანება ადამიანებს აიძულებს, ახლომდებარე ტერიტორიებზე თავიანთი საქმიანობები შეზღუდულად განახორციელონ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიერ განსაზღვრული ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები გორის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ქვემოთ მოცემულ ცხრილშია შეჯამებული:

გრაფიკი 16:

გორის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

გორის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
მეხილეობა; ადამიანური რესურსები.	შეღავათიან საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა; ნარჩენების შეგროვება; შიდა გზების მდგომარეობა; საირიგაციო არხებზე ხელმისაწვდომობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა; ნარგავების დაცვის ღონისძიებების ფასები და ხარისხი
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
სოფლის მეურნეობა და ტრადიციული მებაღეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები

ფოტო 8: ნანას 200 კვადრატულიანი სახლი 2008 წლის ომის დროს სრულად დაიწვა. 2013 წელს წითელმა ჯვარმა ერთი ოთახი გაურემონტა. მას შემდეგ ნანა და მისი მეუღლე უკვე 6 წელზე მეტია 8 კვ. მეტრიან ოთახში ცხოვრებენ, რომელიც სამზარეულოს, საძინებლის და მისაღები ოთახის ფუნქციას ერთდროულად ასრულებს. სოფელი ზარდიაანთკარი, გორის მუნიციპალიტეტი. 2019 წელი.

ქარელის მუნიციპალიტეტი

რესპონდენტებმა ქარელში, შიდა ქართლის კიდევ ერთ მუნიციპალიტეტში, რომელიც ცხინვალის რეგიონთან/ სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მდებარეობს, ადამიანური რესურსები და სოფლის მეურნეობა თავიანთი სოფლების ძირითად ძლიერ მხარეებად დაასახელეს. გორის მუნიციპალიტეტის რესპონდენტების მსგავსად, მათ განაცხადეს, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის შრომისმოყვარე და უდრეკი მაცხოვრებლები მზად არიან ხელი შეუწყონ თავიანთი სოფლების განვითარებას. ნოყიერი მიწის ნაკვეთების კონფლიქტის შედეგად დაკარგვის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც ახერხებს პომიდვრის, კარტოფილისა და ლობიოს მოყვანას და რეალიზაციას მთელი საქართველოს მასშტაბით.

შიდა გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და ქუჩის განათება მთავარ პრობლემებად დასახელდა გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის მიერ ქარელის მუნიციპალიტეტში. რამდენიმე სოფელს არ აქვს საბავშვო ბაღები, შესაბამისად, მაცხოვრებლებს ბავშვების წაყვანა სხვა დასახლებებში მდებარე საბავშვო ბაღებში უწევთ ან თავად უვლიან მათ. ზოგიერთ სოფელში სასურსათო მაღაზიები არ არის, ზოგგან კი პრობლემად სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა დასახელდა.

გორის მაცხოვრებლების მსგავსად, რესპონდენტებმა ქარელის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები სოფლის მეურნეობაში დაინახეს. მათ განაცხადეს, რომ ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა მეტ სამუშაო ადგილს შექმნის ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის და საქართველოს ეკონომიკაში შეიტანს წვლილს. მაშინ, როდესაც არც ერთ რესპონდენტს კერძო ინიციატივები არ უხსენებია, ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ მუნიციპალური და ცენტრალური ხელისუფლების თანადგომა ძლიერი მხარეების შესაძლებლობებად გადაქცევაში დაეხმარება ქარელს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ასევე, რომ მანქანა-დანადგარებისა და სასუქების მიწოდება არსებითია მათი პოტენციური წარმატებისთვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ქარელიდან რამდენიმე საფრთხეზეც მიუთითეს. ისინი იმაზე თანხმდებიან, რომ უსაფრთხოების ისეთი საკითხები, როგორიცაა გატაცება და ე.წ. ბორდერიზაციის მიმდინარე პროცესი, მნიშვნელოვნად აფერხებს მათი სოფლების ეკონომიკურ განვითარებასა და პერსპექტივებს. ვინაიდან ეს სოფლები რუსული და ოსური შეიარაღებული ძალების მხრიდან მუდმივი საფრთხის ქვეშ არიან, ძალზე ცოტა ადგილობრივი თუ რისკავს ბიზნესის დაწყებას, ან ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას. ამასთან, მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებულ პრობლემებს ისევე, როგორც მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის ბარიერებს, როგორც პოტენციურ საფრთხეებს.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიერ განსაზღვრული ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები ქარელის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ქვემოთ მოცემულ ცხრილშია შეჯამებული:

გრაფიკი 17:

ქარელის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

ქარელის მუნიციპალიტეტი SWOT ანალიზი	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
სოფლის მეურნეობა; ადამიანური რესურსები.	გზების მდგომარეობა სოფლად; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა; გარე განათება.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
სოფლის მეურნეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები

კასპის მუნიციპალიტეტი

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა კასპის მუნიციპალიტეტიდან, სხვებთან შედარებით, თავიანთი სოფლების უფრო მცირე რაოდენობის ძლიერი მხარეები ჩამოთვალეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცენტრალურ ავტომაგისტრალზე ხელმისაწვდომობა და დაგებული გზები ამ სოფლებს შედარებით ხელსაყრელ პირობებში აყენებს, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს ბევრი არაფერი ჰქონდათ სათქმელი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება, ამ ძლიერმა მხარეებმა მათი სოფლებისთვის შესაძლებლობები წარმოშვას. ძლიერ მხარეებად რესპონდენტებს ახლად შექმნილი კენკრისა და თხილის ფერმები მიაჩნიათ ტრადიციულ მებაღეობასთან ერთად, როგორიცაა, მაგალითად, ბოსტნეულის მოყვანა.

გამოწვევებს შორის კასპის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებმა გაზმომარაგება, შიდა გზები და სასმელი და საირიგაციო წყლის ხელმისაწვდომობა დაასახელეს მთავარ სისუსტედ მათ სოფლებში. მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტს პირდაპირ მიუწვდება ხელი ქვეყნის აღმოსავლეთ-დასავლეთ ავტომაგისტრალზე, რომელიც მის ტერიტორიაზე გადის, გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი მუნიციპალური და რეგიონული ცენტრების მიმართულებით. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებზე ხელმისაწვდომობაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

გარკვეულწილად, მონაწილეებს არ სურდათ ძლიერ მხარედ სოფლის მეურნეობის აღქმა. მიუხედავად ამისა, მათ მიაჩნიათ, რომ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმს გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებთათვის გარკვეული შესაძლებლობების შექმნა შეუძლია. ამავდროულად, განაცხადეს, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და სახელმწიფო სუბსიდიების გარეშე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდისკენ მიმართული ინდივიდუალური კერძო ინიციატივები, შესაძლოა, ფუჭი აღმოჩნდეს.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სხვა დასახლებების რესპონდენტების მსგავსად, კასპის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებსაც ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ, რომელიც მათი სოფლების წინაშე დგას, რუსული ოკუპაცია მიაჩნიათ. მონაწილეებმა გაიხსენეს, რომ 2008 წლის ომამდე, ეთნიკურად ქართული და ოსური სოფლების მოსახლეობას, ძირითადად, მშვიდობიანი ურთიერთობები ჰქონდა, მაგრამ რუსული სამხედრო ძალები ამ სოფლებს მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას არ აძლევენ.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიერ განსაზღვრული ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები კასპის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში, შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიერ განსაზღვრული ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები კასპის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში, შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

გრაფიკი 18:

კასპის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

კასპის მუნიციპალიტეტი SWOT ანალიზი	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
წვდომა საქართველოს მთავარ ავტომაგისტრალზე	გაზმომარაგება; შიდა გზები; სასმელ და საირიგაციო წყალზე ხელმისაწვდომობა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებზე ხელმისაწვდომობა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
სოფლის მეურნეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

საქართველოში სხვა რეგიონული მუნიციპალიტეტების მსგავსად, აფხაზეთის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლების, წალენჯიხის მცხოვრებლებსაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება მათ მთავარ ძლიერ მხარედ მიაჩნიათ. აქ თხილი ძირითად რეალიზებად პროდუქტად იქცა იმ სოფლებისთვის, სადაც მოსახლეობა გამყოფი ხაზის მიმდებარედ ცხოვრობს. კივიც, რომელიც რეგიონისთვის შედარებით ახალი ხილის კულტურაა, წარმატებული აღმოჩნდა საექსპორტოდ. ფერმერები ერთდროულად მესაქონლეობასა და მწყემსობასაც ეწევიან, ასევე, მოჰყავთ სიმინდი, რომელსაც საქონლის საკვებადაც იყენებენ; და ბოლოს, მეფუტკრეობა - კიდევ ერთი ტრადიციული მეურნეობაა, რომელიც გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებლებმა მათი მუნიციპალიტეტის ძლიერ მხარედ დაასახელეს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებისთვის ძირითადი სუსტი მხარეები სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანადგარებისა და ნოუ-ჰაუს ნაკლებობაა. რესპონდენტების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თხილი მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტია, ფერმერებს სათანადო დანადგარები და რესურსები არ აქვთ თხილის წინასწარი დამუშავებისთვის. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გამოყენებული ინდუსტრიული საშრობები და ქიმიკატები ან ხელმისაწვდომი არ არის, ანდა დაბალი ხარისხისაა. მართალია, ხელისუფლებამ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ კამპანიები წამოიწყო, მაგრამ მონაწილეების თქმით, ქიმიკატებმა, რომლებიც მათ გამოიყენეს, ფუტკრები დახოცა. შედეგად, რამდენიმე სოფელმა თავიანთი მიწის ნაკვეთები ამ ნივთიერებით აღარ დაამუშავა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება სოფლის მეურნეობის შესახებ თანამედროვე ცოდნის ნაკლებობაა. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად ხელისუფლებისა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ქიმიკატების გამოყენების შესახებ ჩატარებული ტრენინგებისა, ხშირად, ეს ინფორმაცია საკმარისი არ არის. რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის შემგროვებელი პუნქტები მნიშვნელოვნად სუსტი მხარეა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში.

ზოგადად, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ძირითადი შესაძლებლობაა წალენჯიხის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებისთვის. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფო ფერმერებს უნდა დაეხმაროს როგორც ტრენინგების, ასევე, ფინანსური წახალისებისა და ვაუჩერების შეთავაზებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და ქიმიკატების შესაძენად. მათი აზრით, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის შემგროვებელი პუნქტების გახსნამ, შესაძლებელია პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას შეუწყოს ხელი. რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, ბიზნესმენებიც ნაკლებად არიან დაინტერესებული მათი სოფლებისთვის შესაძლებლობების შექმნით.

წალენჯიხაში გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებები, უსაფრთხოების თვალსაზრისით, სერიოზული საფრთხეების წინაშე დგანან რუსეთის სამხრედო ძალებისა და დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან ისევე, როგორც გამყოფი ხაზის მიმდებარე სხვა სოფლები. როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რუსული და აფხაზური უშიშროების ძალებმა მათი სოფლის მცხოვრებლები დააკავეს და შემდეგ გამოსასყიდის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. უსაფრთხოების საკითხების გარდა, ფოკუს ჯგუფებმა ხაზი გაუსვეს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უშლის აზიური ფაროსანას გავრცელებაც; და ბოლოს, სასმელი წყლის ცენტრალიზებული მომარაგების არარსებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებისთვის.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიერ განსაზღვრული ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში, ქვემოთ მოცემულ ცხრილშია შეჯამებული:

გრაფიკი 19:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი SWOT ანალიზი	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
სოფლის მეურნეობა, მათ შორის: თხილი, კივი, მესაქონლეობა და მეფუტკრეობა.	სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების ნაკლებობა; სოფლის მეურნეობაში ცოდნისა და ნოუ-ჰაუს ნაკლებობა; თხილის ინდუსტრიული საშრობების ნაკლებობა; აზიურ ფაროსანასთან გასამკლავებლად სათანადო ქიმიკატების ნაკლებობა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
სოფლის მეურნეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანური უსაფრთხოების საკითხები; აზიური ფაროსანა; სასმელი წყლის ცენტრალიზებული სისტემის არარსებობა.

ფოტო 9: სოფელ ფახულანის მეორე საჯარო სკოლის დატბორილი სტადიონი. სოფელი ფახულანი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი. 2019 წელი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

რესპონდენტებმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ძლიერ მხარეებად ისეთი ტრადიციული კულტურები დაასახელეს, როგორიცაა თხილი და ციტრუსი. სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები კი, როგორიცაა, მეფუტკრეობა და კივისა და მოცვის კულტივაცია, ამ სოფლების ძლიერ მხარეებად დაასახელეს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ თხილის საშრობი ქარხნის ხელმისაწვდომობამ, შედარებითი უპირატესობა შეუქმნა თხილის ფერმერებს, რადგან მათ ახლა თავიანთი ნაწარმის უკეთ და უფრო მაღალ ფასად რეალიზება შეუძლიათ.

რესპონდენტების თქმით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში ძირითადი სუსტი მხარეები სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებთან და მასალებთამ, ისევე როგორც ისეთ მომსახურებებთან დაკავშირებული პრობლემებია, როგორიცაა სამედიცინო პერსონალისა და სასმელი წყლის ნაკლებობა. მათი თქმით, სოფლებში თითქმის არ არიან სოფლის მეურნეობის კვალიფიციური პროფესიონალები და ფერმერებს ქიმიკატების სათანადოდ გამოყენება უჭირთ. ასევე, ვინაიდან სოფლებში ექიმები არ არიან, მაცხოვრებლებს ქალაქ ზუგდიდში, ან საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე სამედიცინო ცენტრებში უწევთ წასვლა. მათ მიერ ცენტრალიზებული წყალმომარაგების ნაკლებობაც სუსტ მხარედ იქნა მიჩნეული, რადგან წყლის არსებული ჭები სასმელ წყალზე არსებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისიც აღნიშნეს, რომ კენკრის წარმოების სახელწმიფო პროგრამებმა გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას გარკვეული შესაძლებლობები გაუჩინა. პროგრამამ რამდენიმე ფერმერი კოოპერატივების შესაქმნელად წაახალისა. სხვა შესაძლებლობებს შორის ხელმისაწვდომია სესხებისა და ქიმიკატების შესაძენად მოსახლეობის ვაუჩერებით უზრუნველყოფა და გრანტები მცირე და საშუალო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შესაქმნელად. ეს რესპოდენტებს საუკეთესო გზად მიაჩნიათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში პირობების გასაუმჯობესებლად.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, უსაფრთხოება ზუგდიდის მცხოვრებლებმაც თავიანთი სოფლების ყველაზე

მნიშვნელოვან საფრთხედ დაასახელეს. რესპონდენტებმა ისიც აღნიშნეს, რომ აზიური ფაროსანა და სოკოვანი დაავადებები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თხილს - მათ ძირითად რეალიზებად პროდუქტს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე სოფელს, წყალდიდობის რისკების შესამცირებლად მდინარე ენგურის განაპირას ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირების საშუალებები უკვე აქვს, სეზონური წყალდიდობები მაინც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება რეგიონში.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მიერ განსაზღვრული ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში, ქვემოთ მოცემულ ცხრილშია შეჯამებული:

გრაფიკი 20:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი SWOT ანალიზი	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
წვდომა საქართველოს მთავარ ავტომაგისტრალზე	სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების ნაკლებობა; სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა; აფთიაქების ნაკლებობა; სასმელი წყლის ცენტრალიზებული ქსელის არარსებობა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
სოფლის მეურნეობა; სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები.	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები; აზიური ფაროსანა; სოკოვანი დაავადებები; მდინარე ენგურის სეზონური ადიდება

თითოეული მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი შეჯამებულია ქვემოთ, გამყოფი ხაზის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მუნიციპალიტეტს განსაზღვრული აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რამდენიმე გადამკვეთი სოფელაც გამოიკვეთა. სოფლის მეურნეობა, რაიმე ფორმით მაინც, ძლიერ მხარედაა მიჩნეული ყველგან, კასპის მუნიციპალიტეტის გარდა. მართალია, კასპის მუნიციპალიტეტის რესპოდენტებს სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტის ძლიერ მხარეებში არ დაუსახელებიათ, მაგრამ იგი მაინც მთავარ შესაძლებლობად მიაჩნიათ. რაც შეეხება შესაძლებლობებს, კიდევ ერთ საერთო სოფელად ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერა გამოიკვეთა. როგორც SWOT ანალიზმა გვიჩვენა, ადამიანების შედარებით მცირე რაოდენობას აქვს კერძო სექტორის მხარდაჭერის დიდი იმედი თავიანთ სოფლებში, სოფლის მეურნეობის დარგში. ამავდროულად, ბევრმა სოფელმა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საკითხები სუსტ მხარეებად აღიქვა იმის მიუხედავად, რომ კონკრეტული საკითხები განსხვავებულია სოფლებს შორის. ამასთან, საერთო პრობლემაა როგორც სასმელი, ისე საირიგაციო წყალი. რაც შეეხება საფრთხეებს, რუსული ოკუპაცია და მისი თანმდევი საფრთხეები, ყველა სოფელმა გამოყო, დუშეთის გარდა. ასევე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის, პარაზიტების გავრცელება საერთო გამოწვევად დასახელდა.

გრაფიკი 21:

გამყოფი ხაზების მიმდებარე მუნიციპალიტეტების SWOT ანალიზი

	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები	შესაძლებლობები	საფრთხეები
დუშეთი	მეცხოველეობა; მერძევეობა; ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის და ინტერნეტის ინფრასტრუქტურა	გზების მდგომარეობა სოფლად; სასმელი და საირიგაციო წყლის რესურსების ნაკლებობა; სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა; შეშაზე ხელმისაწვდომობა; სასურსათო მაღაზიების ნაკლებობა	მერძევეობა	დეპოპულაცია; მიწის რეგისტრაციის ფასი; მიწის რეგისტრაციის პროცესი
გორი	მეხილეობა; ადამიანური რესურსები	შეღავათიან საზოგადოებრივ ტრანსპორტხე ხელმისაწვდომობა; ნარჩენების შეგროვება; შიდა გზების მდგომარეობა; საირიგაციო არხებზე ხელმისაწვდომობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა; ნარგავების დაცვის ღონისძიებების ფასი და ხარისხი	სოფლის მეურნეობა და ტრადიციული მებაღეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები
ქარელი	სოფლის მეურნეობა; ადამიანური რესურსები	გზების მდგომარეობა სოფლად; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა; ქუჩის განათება	სოფლის მეურნეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები
კასპი	წვდომა საქართველოს მთავარ ავტომაგისტრალზე	ბუნებრივი აირის, სასმელ და საირიგაციო წყალზე ხელმისაწვდომობა; შიდა გზები; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლებობა; სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებიზე ხელმისაწვდომობა	სოფლის მეურნეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები
წალენჯიხა	სოფლის მეურნეობა (თხილი, კივი), მესაქონლეობა, მეფუტკრეობა	სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების ნაკლებობა; სოფლის მეურნეობაში ცოდნისა და ნოუ-ჰაუს ნაკლებობა; თხილის ინდუსტრიული საშრობები; ქიმიკატები აზიური ფაროსანასთვის.	სოფლის მეურნეობა	რუსული ოკუპაცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები

ზუგდიდი	სოფლის მეურ-ნეობა (თხილი, ციტრუსი, კივი); მესაქონლეობა; მეფუტკრეობა; თხილის საშრობ ქარხნებზე ხელმი-საწვდომობა	სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების ნაკლებობა; სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა; აფთიაქები; სასმელი წყლის ცენტრალიზებული ქსელის არარსებობა	სოფლის მეურნეობა; სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები	რუსული ოკუპა-ცია; ადამიანის უსაფრთხოების საკითხები; აზიური ფარო-სანა; სოკოვანი დაავადებები; მდინარე ენგუ-რის სეზონური ადიდება

ფოტო 10: სოფელში საქონელი აღარ ჰყავთ, ვინაიდან საძოვრები ოკუპირებულ ტერიტორიაზეა. წელს არც თხილი ჰქონდათ, არც მაყვალმა მოისხა, არც მოცვმა. ომამდე ტყეში დადიოდნენ წაბლის შესაგროვებლად, რომელსაც ბაზარში ჰყიდდნენ. ახლა ეგეც შეუძლებელია, რუსებმა ან ოსებმა, რომ დაინახონ ან დააჯარიმებენ ან დაიჭერენ და ცხინვალში წაიყვანენ. სოფელი პერევი, საჩხერის მუნიციპალიტეტი. 2019 წელი.

დასკვნები და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევის საფუძველზე რიგი დასკვნები და რეკომენდაციები განისაზღვრა.

კვლევის საფუძველზე მოხდა დასახლებების კლასიფიკაცია მათი საჭიროებების შედარებითი ხარისხის მიხედვით, რაც ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილშია შეჯამებული. ცხრილში ნაჩვენებია, რომ საჭიროებების უმაღლესი დონე აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებშია. ზოგადად, სოფლების საჭიროებები მაღალია უმრავლეს დასახლებაში, დამატებით, მწვავე საჭიროებები კვლევის ფარგლებში მოცულ ყველა დასახლებაში გამოიკვეთა.

გრაფიკი 22:

სოფლების რაოდენობათა განაწილება საჭიროებების დონის მიხედვით, გეოგრაფიულ ჭრილში

საჭიროების დონე	საკითხების რაოდენობა	სოფლების წილი სულ	აფხაზეთთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის წილი	ცხინვალის რეგიონის/ სამხრეთ ოსეთის გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის წილი
უმაღლესი საჭიროება (5)	55-65	30%	40%	27%
მაღალი საჭიროება (4)	48-54	24%	20%	26%
საშუალო საჭიროება (3)	40-47	23%	10%	28%
დაბალი საჭიროება (2)	31-39	17%	23%	15%
ყველაზე დაბალი საჭიროება (1)	23-30	5%	7%	5%

საჭიროებების ზოგადი მდგომარეობის კლასიფიკაციის გარდა, განისაზღვრა, აგრეთვე, კონკრეტული საჭიროებები თითოეული დასახლებისთვის. საჭიროებები დალაგდა გავრცელების და არა სიმწვავის ან მნიშვნელობის მიხედვით. იმის გადაწყვეტისას, თუ რომელი გამოწვევების გადაჭრას ვეცადოთ გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებებში, საჭიროებების შედარებითი მნიშვნელობა უნდა გავითვალისწინოთ: ცხადია, გატაცება უფრო მწვავე პრობლემაა,

ვიდრე მთავარი გზების განათება, მიუხედავად იმისა, რომ გატაცებები რაოდენობრივად უფრო ნაკლებ დასახლებაში ხდება, ვიდრე გზებზე განათების არარსებობის პრობლემა. ამ თვალსაზრისით, სამომავლოდ სოფლების პრიორიტეტების შესწავლაც საჭიროა, რათა მხოლოდ გამოწვევების განსაზღვრა არ მოხდეს.

დასახლებების საჭიროებების განსაზღვრასთან ერთად, კვლევამ გამყოფი ხაზების მიმდებარე ექვსი მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი მოიცვა. როგორც კვლევის ფარგლებში ჩატარებული SWOT ანალიზი გვიჩვენებს, ეს დასახლებები შესაძლებლობებს, უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის განვითარებაში ხედავენ. ანალიზის შედეგად სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სუსტი მხარეები გამოვლინდა, მათ შორის, წყალმომარაგების პრობლემები. საერთო საფრთხეების შესახებ გამართულ დისკუსიებში რუსეთიდან მომდინარე უსაფრთხოების გამოწვევები და სოფლის მეურნეობის პრობლემური საკითხები (აზიური ფაროსანა, მიწის რეგისტრაცია და სხვ.) ჭარბობდა. ამდენად, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ორივე გამყოფი ხაზის მიმდებარე დასახლებები, მაღალი ალბათობით, სოფლის მეურნეობის განვითარების გამოკვეთილ პროგრამებში მონაწილეობით დაინტერესდებიან.

მაშინ, როდესაც ზემოთ განხილული მონაცემები და ანალიზი ზოგად ტენდენციებს წარმოაჩენს, კვლევის მიხედვით, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის საჭიროებების როგორც დონე, ისე ტიპოლოგია მნიშვნელოვნად განსხვავდება. ზემოთ განხილული მონაცემები, იმ დამატებითი მონაცემებთან ერთად, რომლებიც მოცემული პროექტის ფარგლებში მოსახლეობის ჯგუფებში მოგროვდა, აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან გამყოფი ხაზების მიმდებარე 116-დან 112 დასახლებაში მიზნობრივი ინტერვენციების განხორციელების საშუალებას იძლევა. მონაცემების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ:

- ინტერვენციები დაიგეგმოს პროექტის ფარგლებში შედგენილი მოსახლეობის ჯგუფების პროფილების საფუძველზე. ეს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საშუალებას მისცემს, გამოკვეთილ პრობლემებს სწრაფად და ეფექტურად გაუმკლავდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი მონაცემების მოსაძიებლად ყოველგვარი ძალისხმევაა გამოყენებული, პროექტის ფარგლებში მოძიებული მონაცემების შეზღუდული რაოდენობის გამო, ცხადია, მათში შეცდომებიც არის. ამდენად, რეკომენდებულია სიფრთხილე და ინტერვენციების განხორციელებამდე:

- პროგრამების ვალიდაციის მიზნით, მათ დაწყებამდე, შესაბამისმა აქტორებმა შეხვედრები მოაწყონ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რათა განსახორციელებელი პროგრამების მოსახლეობის საჭიროებებთან შესაბამისობის წინასწარი შეფასება მოხდეს.

ბიბლიოგრაფია

Civil.ge. *"Closure of Ergneti Black Market Boosted Customs Revenues."* Tbilisi, 2004. Available at: https://civil.ge/archives/115946.

Council of Europe. *"Consolidated Report on the Conflict in Georgia."* Strasbourg, 2018. Available at: http://mfa.gov.ge/getattachment/News/davit-zalkaliani-evropis-sabchos-ministrta-moadgil/Consolidated-report-SG_Inf(2018)15E.pdf.aspx.

International Crisis Group (ICG). *"Abkhazia and South Ossetia: Time to Talk Trade."* Brussels, 2018. Available at: https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/georgia/249-abkhazia-and-south-ossetia-time-talk-trade.

International Fund for Agricultural Development (IFAD). *"Georgia: Agricultural Support Project."* September 2017. Available at: https://www.ifad.org/en/web/ioe/evaluation/asset/39824042.

Jenks, George F. *"The Data Model Concept in Statistical Mapping."* International Yearbook of Cartography 7 (1967): 186–90.

National Statistics Office of Georgia (GEOSTAT). *"2014 General Population Census."* Tbilisi, 2015. Available at: http://census.ge/en/results/census1/test.

Office of the State Minister of Georgia for Reconciliation and Civic Equality (SMR). "გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის: 2013-2018 წლების საქმიანობის ანგარიში." Tbilisi, 2018. Available at: http://smr.gov.ge/Uploads/__202b5254.pdf.

Pataraia, Tamara, and David Wood. *"Moving beyond Insecurity: A Survey of Community Security in Shida Kartli."* Saferworld, March 2011. Available at: http://www.saferworld.org.uk/resources/view-resource/585-moving-beyond-insecurity.

Public Defender (Ombudsman) of Georgia (PDO). *"Special Report On The Impact Of The Closure Of Crossing Points On The Rights Of The Population Living Along Abkhazia's Administrative Boundary Line."* Tbilisi, 2017. Available at: http://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112191576480.pdf.

Public Defender (Ombudsman) of Georgia (PDO). *"The Human Rights Situation of the Conflict-Affected Population in Georgia."* Tbilisi, 2016. Available at: http://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112345256499.pdf.

Public Defender (Ombudsman) of Georgia (PDO). "ომიდან ათი წლის შემდეგ." Tbilisi, 2018. Available at: http://www.ombudsman.ge/res/docs/2019070212514016300.pdf.

Raaflaub, Martin, and Lukas Marek Dobry. *"Pasture Management in Georgia: Current situation, frame conditions, potentials of development."* Swiss Cooperation Office for the South Caucasus, 2015. Available at: https://www.eda.admin.ch/dam/countries/countries-content/georgia/en/Pasture%20Management%20In%20Georgia%202015.pdf.

Tavakarashvili, Arina. *"Research Of Villages Subjected To Creeping Annexation."* Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform, 2016. Available at: http://eap-csf.ge/images/doc/politics/pp%20summary22eng.pdf.

Tsagareishvili, Nino. *"Zone of Barbed Wires: Mass Human Rights Violations along the Dividing Lines of Abkhazia and South Ossetia."* Tbilisi: Human Rights Center, 2019. Available at: http://hridc.org/admin/editor/uploads/files/pdf/hrcrep2018/Zone%20of%20Barbed%20Wires-Report%20-eng%202019.pdf.

United Nations General Assembly, Status of internally displaced persons and refugees from Abkhazia, Georgia, and the Tskhinvali region/South Ossetia, Georgia: Report of the Secretary-General (2019). A/73/880. Available at: https://undocs.org/en/A/73/880.

Winrock International Georgia. *"Wood Heating Stoves in Rural Georgia."* May 2008. Available at: http://weg.ge/sites/default/files/wood_heating_stoves_en.pdf.

World Bank. *"Transitioning from Status to Needs Based Assistance for IDPs: A Poverty and Social Impact Analysis."* Washington DC, 2016. Available at: http://documents.worldbank.org/curated/en/493981468030331770/pdf/IDP-PSIA-Georgia-revised-Feb-2016.pdf.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
საქართველოს წარმომადგენლობა
კავსაძის ქ. #3, ოფისი 11, 0179
თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 222 06 04
(995 32) 222 08 70

georgia.unwomen.org
www.unwomen.org